საერთო საქმე

№20 (842)
ოთხშაბათი
3 ივნისი,
2026 წ.
ფასი 2 ლ.

გლობალური გამოწვევებისა და კრიზისების ფონზე ისტორიული პროექტი ბაქო-თბილისი-ყარსი ამოქმედდა

აშშ ნატო-დან გასვლას არ გამორიცხავს

ჩვენი გაზეთის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია ინტერნეტში:
WWW.SAERTOGAZETI.COM

გლობალური გამოწვევებისა და კრიზისების ფონზე ისტორიული პროექტი გავხსენით

ძალიან მნიშვნელოვანი დღეა, ისტორიული პროექტი გავხსენით, ეს არის ბაქო-თბილისი-ყარსის ისტორიული პროექტი. როგორც მოგეხსენებათ, საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სატრანზიტო ფუნქციის განვითარებას, დაკავშირებადობის კუთხით ჩვენი შესაძლებლობების განვითარებას და ამ კუთხით, რა თქმა უნდა, საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის თანამშრომლობას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. ეს პროექტიც არის იმის საუკეთესო გამოხატულება, თუ რამდენად მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ჩვენს მეგობარ ქვეყნებთან. რა თქმა უნდა, ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო მეტად უნდა განვითარდეს. დღევანდელი დღე არის ჩვენი წარმატებული თანამშრომლობის საუკეთესო გამოხატულება.

●

სწორედ ამ ხედვიდან გამომდინარე, საქართველო აქტიურად განაგრძობს სტრატეგიული ინფრასტრუქტურის განვითარებას - მათ შორის ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობას, საერთაშორისო აეროპორტების გაფართოებასა და მოდერნიზაციას, ავტომაგისტრალებისა და სარკინიგზო ქსელის განახლებას. ეტაპობრივად იზრდება შესაბამისი სატრანსპორტო და ლოგისტიკური შესაძლებლობები, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენი ქვეყნის, როგორც ევროპისა და აზიის საიმედო და ეფექტიანი დამაკავშირებლის როლს.

საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტების განვითარების მიმართულებით საქართველოს მრავალწლიანი, მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობა აკავშირებს როგორც თურქეთსა და აზერბაიჯანთან, ისე სომხეთთან, ცენტრალური აზიის ქვეყნებთან და სხვა პარტნიორ სახელმწიფოებთან. სწორედ, ამ სამაგალითო თანამშრომლობის შედეგია დღევანდელი წარმატებაც.

მადლობას ვუხდი ჩვენს პარტნიორებს აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან და ყველა იმ ადამიანს, ვინც წვლილი შეიტანა ამ უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელებაში.

გილოცავთ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის სრულად ამოქმედებას და ჩვენს ქვეყნებს კიდევ უფრო მეტ წარმატებას და კიდევ უფრო მეტ განვითარებას ვუსურვებ!

●

ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის საქართველოს მონაკვეთი რეგიონში განხორციელებული ერთ-ერთი უმსხვილესი ინფრასტრუქტურული პროექტია, რომლის სიგრძე მარაბდიდან თურქეთის საზღვრამდე 180 კმ-ს შეადგენს, საიდანაც რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 153 კმ ლიანდაგს და აშენდა 27 კმ სიგრძის სრულიად ახალი, თანამედროვე სტანდარტების სარკინიგზო ხაზი.

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით, რომელიც 2017 წლიდან დღემდე სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებდა, საპილოტე რეჟიმში გადაიზიდა 1.8 მლნ ტონაზე მეტი ტვირთი, მათ შორის 90 ათასამდე კონტეინერი. ამ პერიოდის განმავლობაში მკაფიოდ გამოიკვეთა სატვირთო გადაზიდვების მზარდი დინამიკა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ სატრანსპორტო დერეფნის ეკონომიკურ და ლოგისტიკურ მნიშვნელობას. ეს სარკინიგზო ხაზი შუა დერეფნის განუყოფელი ნაწილია, შუა დერეფანს კი ევროპისა და აზიის დაკავშირებადობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

მარშრუტის სრულად ამოქმედებით სარკინიგზო ხაზის გამტარუნარიანობა წელიწადში 5 მილიონ ტონას მიაღწევს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ჩვენი რეგიონის სატრანზიტო შესაძლებლობებს და კიდევ უფრო აძლიერებს შუა დერეფნის კონკურენტუნარიანობას.

ეს პროექტი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, გლობალური გამოწვევებისა და კრიზისების ფონზე, როდესაც საერთაშორისო სავაჭრო მარშრუტების დივერსიფიკაცია და უსაფრთხო სატრანსპორტო ქსელები ეკონომიკური განვითარების უმთავრესი წინაპირობებია. ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზი კიდევ უფრო აახლოებს ევროპასა და აზიას და აძლიერებს ჩვენი რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობას მსოფლიო სავაჭრო და ლოგისტიკურ ქსელში.

კახა კალაძე: ლიდერობა ისაა, რომ ვაღიარებთ გამოწვევებს და ვდგამთ შესაბამის ნაბიჯებს

ცვლილებები უკეთესობისთვის არის შეუქცევადი პროცესი, რაც მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენ მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი გახდა სისტემური. დავიწყებ სატრანსპორტო პოლიტიკით.

გავიხსენებ იმ მძიმე მდგომარეობას, რაც ამ მიმართულებით გვქონდა - გაუბედურებული, ძირგამომპალი ავტობუსები, მიკროავტობუსები, რომლებიც კრიტიკას ვერ უძლებდა. ეკოლოგიური და ადამიანების ჯანმრთელობის კუთხით მათი გამონაბოლქვი უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა. მეტროში იყო უდიდესი პრობლემები.

მინდა, ასევე, ვისაუბრო რეკრეაციის მიმართულებაზე. ბოლო წლებში, რაც ამ მხრივ ქალაქში გაკეთდა, საკმაოდ თვალსაჩინოა. გვაქვს ახალი პარკები, რეაბილიტირებული სკვერები, მწვანე არეალები, სპორტული მოედნები.

მოხდა გასხვისებული არეალების დაბრუნება ქალაქისთვის. ეს იყო რეკრეაციული სივრცეები, სადაც კორპუსები უნდა აშენებულიყო და ჩვენ თბილისელებს მათი სახით მწვანე სივრცეები და სპორტული მოედნები დავუბრუნეთ.

რა თქმა უნდა, ბოლო წლებში ძალიან მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა - ქუჩების, გამზირების რეაბილიტაცია. რაც მთავარია, ეს ყველაფერი ძირეულად კეთდება - იცვლება ძველი მიწისქვეშა კომუნიკაციები. არ არსებობს პროექტი, სადაც საგზაო ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ვაწარმოებთ და იქ, პირველ რიგში, მიწისქვეშა კომუნიკაციები არ განვაახლოთ.

ეს პროგრამები თითოეულ თბილისელს ეხება. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ გვყავს დამიანები, ვისაც ჩვენი მხრიდან შესაბამისი თანადგომა სჭირდება. ყველა **ჩვენი პროგრამა გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ასეთ ოჯახებს ცხოვრება შევუმსუბუქოთ.**

რა თქმა უნდა, არსებობს გამოწვევებიც და ამაზეც ბევრი შემიძლია ვისაუბრო. ლიდერობა მხოლოდ ის არ არის, რომ ვისაუბროთ, ყველაფერი კარგად არის და ამ ცხრა 9 წლის განმავლობაში ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთო. პირიქით, ლიდერობა არის ის, რომ შენ აღიარებ გამოწვევებს და შენს გუნდთან ერთად მიყვები, თანმიმდევრულად დგამ ისეთ ნაბიჯებს, რომ ეს პრობლემები მოგვარდეს.

ჩვენთვის უდიდესი გამოწვევაა ავარიული შენობა-ნაგებობები, რაც საკმაოდ ბევრი გვაქვს თბილისში - როგორც საცხოვრებელი სახლები, ისე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობები.

გამოწვევები გვაქვს ასევე საცობების, ინფრასტრუქტურის, მიწისქვეშა კომუნიკაციების მიმართულებით. ასევე, გამოწვევაა იმ ადამიანების არსებობა, ვისაც მატერიალურად ძალიან უჭირს, სჭირდებათ ჩვენი თანადგომა. ზოგადად ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ქვეყანა ეკონომიურად წინ წავიდეს, მეტი დოვლათი გაჩნდეს, რათა რაც შეიძლება ნაკლები სოციალურად დაუცველი ოჯახი გვყავდესა.

მალე რუსთაველის გამზირის რეაბილიტაციის ახალი ტენდერი გამოცხადდება

ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის თითოეული გამზირის რეაბილიტაცია. რუსთაველის გამზირს თავისი ისტორიული არეალებით და ძეგლებით მეტი დატვირთვა აქვს, ჩვენი ქალაქის გულია. შესაბამისად, ჩვენ ძალიან აქტიურად ვთანამშრომლობთ ცენტრალურ მთავრობასთან და განხორციელდა ბაზრის სიღრმისეული კვლევა, სამშენებლო რესურსების, მასალების, ზედნადები ხარჯების და ა. შ. უახლოეს პერიოდში გვექნება შესაძლებლობა, გამოვაცხადოთ ახალი ტენდერი და დარწმუნებულები ვართ, მაღალი კონკურენცია იქნება. უახლოეს პერიოდში გვექნება შესაძლებლობა, დავიწყოთ რუსთაველის გამზირის რეაბილიტაცია, რომელიც, დაახლოებით, 4 თვის განმავლობაში გაგრძელდება.

დებატები „რუსთავი-2“-ზე და ისევ ჩაფეხვილი ე.წ. ოპოზიცია

1-ელ ივნისს ტრადიციული დებატები გავიდა „რუსთავი 2“-ის ეთერში. თბილისის მერს, კახა კალაძეს და ვიცე-მერს - გიორგი ტყემალაძეს საპაექროდ დაუსვეს „ლელოელი“ ირაკლი კუპრაძე, „გირჩელი“ იაგო ხვიჩია და პოლიტიკოსი ნიკა ობოლაძე. ოღონდ ვერ გეტყვით, ეს ობოლაძე, სანამ „ნაცმოძრაობას“ დატოვებდა, მანამდეც პოლიტიკოსი იყო თუ ახლა გახდა პოლიტიკოსი. ეს ისე, ხუმრობით, სადაც 99% სიმართლეა, ახლა კი გადავიდეთ პირდაპირ დებატების გარჩევაზე: თქვენი არ ვიცი და... მე უკვე დავრწმუნდი, რომ როდესაც ე.წ. ოპოზიციონრებს სადებატოდ იწვევენ, ისინი საერთოდ არ ემზადებიან, საერთოდ არ კითხულობენ ქაღალდებს და არც კი „გუგლავენ“. აი, მაგალითად, იაგო ხვიჩია ედავება კახა კალაძეს ავარიული სახლების ჩანაცვლებაზე და ამ დროს არ იცის, რომ ამ ქვეყანაში კერძო საკუთრება ხელშეუხებელია. როგორო, - ეკითხება კალაძეს, - ერთი მობინადრეც რომ იყოს წინააღმდეგი, ავარიულ სახლს ვერ დაანგრევთო? ვერაო, - პასუხობს კალაძე და ეს, ყოვლად „განსწავლული“ იაგო მხრებს იჩეჩავს - როგორ, მობინადრე მკვდარი რომ იყოს და უარი რომ თქვას, მაინც ვერ დაანგრევთ და ახალს ვერ ააშენებთო? ხალხოოოო! ჯერ ერთი, თუ ადამიანი გარდაცვლილია, უარს როგორღა იტყვის და მეორეც - იმ გარდაცვლილს ხომ მემკვიდრე დარჩებოდა? თუ არ დარჩებოდა, ქონება გადავა სახელმწიფო საკუთრებაში და ახალი კორპუსის აშენებას წინ აღარაფერი დაუდგება. იცით, რა ხდება? ესენი მიდიან სტუდიაში, „ჯდებიან“ და მხოლოდ იმისთვის „ჯდებიან“, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები „აკრიტიკონ“. სიტყვა „კრიტიკა“ ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვი, რომ ეს არ არის კრიტიკა, ეს არის უბრალოდ ლაქლაქი. სამაგალითოდ ისევ იაგო ხვიჩიას გამოსვლა უნდა მოვიყვანო. ესე იგი, ტიპს საიდანღაც მცდარი ციფრები ამოუწერია და მერე თავისებურად მსჯელობს:

„როცა გაქვს 30 ათასი საპარკინგე ადგილი და 700 000 მანქანა, ჯარიმა იყო 10 ლარი და გახდა 50 ლარი, ეს არის დარღვევის საპასუხო ჯარიმა თუ ხაფანგი?!

ანუ ხელი გაქვს ჩაქნეული, რომ ოდესმე რამეს გააკეთებ და ხარ ხალხის გამოჭერაზე. მდიდრებს ეს არ აზარალებს, ისინი გადაიხდიან. ასევე ყველამ იცის, არსებობს „ნარუშილოვკიანი“ მანქანებიც და ამ დროს გაჭირვებული ხალხი, რომელიც დადის, შრომობს, იმის გამო, რომ მხოლოდ 30 ათასი ადგილია, აი ამ ხალხს ვაჯარიმებთ და თურმე ეს არის სიკეთით სავსე ქალაქის შენება“?

30 ათასი საპარკინგე ადგილი იაგომ დაითვალა მხოლოდ დახაზული. უფრო სწორად, დაითვალა კი არა, ვიღაცამ უთხრა. აბა, 700 000 მანქანა 30 ათას ადგილზე რანაირად დაეტევაო? მაგალითად, ჩემ უბანში მხოლოდ ცენტრალური გამზირია დახაზული, დანარჩენი დაუხაზავია და რამენაირად ვეტევით. ასეა ყველა კორპუსის გარშემო და მიმდებარე ტერიტორია. თუ ჩვენ ყველა კუთხე-კუნჭულს დავხაზავთ და ოფიციალურ საპარკინგე ადგილად ვაქცევთ, მაშინ ძალიან ბევრი გამოვა. რაც შეეხება ჯარიმებს, აქ მხოლოდ ერთი გამოსავალია - ნუ დაარღვევ, ძმაო და არ დაჯარიმდები. ესე იგი, ამათ უნდათ, თან დაარღვიონ, თან არ დაჯარიმდნენ. არადა, ზოგი ისე მოძრაობს თბილისში და არა მხოლოდ თბილისში, უნდა დააჯარიმო კი არა, საერთოდ უნდა ჩამოსვა მანქანიდან და მართვის მოწმობაც ჩამოართვა. როგორ შეიძლება, მთვრალმა იარო მანქანით და თან იწუწუნო, რომ თურმე ჯარიმები ძალიან მაღალია? როგორ შეიძლება, იარო მართვის მოწმობის გარეშე და თან ხელისუფლება აკრიტიკო, ჯარიმებით სული ამოგვხადაო? იაგომ - „ნარუშილოვკიანი“ მანქანების არსებობს, ავტობუსების სავალ ნაწილზე რომ დაგრიალებენო, ძირითადად „შკოდებიო“. ვინ, ვინ და იაგო მიუნჰაუზენმა უნდა იცოდეს, რომ „შკოდები“ ძირითადად ძალოვანი უწყებების მანქანებია, პოლიციისა, უსაფრთხოებისა, რა ვქნათ, პოლიციელები არ გავატაროთ და საცობებში ჩავკეტოთ? კი, ბატონო, შეიძლება ზოგიერთმა „ნარუშილოვკაც“ დაითრია ვიღაცის „ბლატებით“, მაგრამ ამასაც მტკიცებულება უნდა. ასეთები სააკაშვილის ხროვაში იმდენნი იყვნენ, ვერც დაითვლიდით. კინაღამ დამავიწყდა, „ნარუშილოვკა“ ნიშნავს საშვს, რომელიც გაძლევს უფლებას, ნებისმიერ დროს დაარღვიო მოძრაობის წესები, გაიარო წითელზე, გადაკვეთო აკრძალული ხაზები და ასე შემდეგ, ვერც ვერავინ შეგედავება, ვერც ვერავინ დაგაჯარიმებს.

„ლელოელი“ ირაკლი კუპრაძე ადანაშაულებს კახა კალაძეს, შენ ბასლაინზე დადიხარ, საცობები არ გაწუხებსო. ჯერ ერთი, „ბასლაინი“ საიდანღაც შემოთრეული სიტყვაა, უნდა იყოს

ბა კალაძეს ვერ იტანდე, გძულდეს, მაგრამ ტელევიზორში რომ უზრდელობ, ეს ხომ შენსავე იმიჯს აზიანებს? სად გაქვს იმიჯი, მაგრამ მაინც.

კალაძე ეუბნება კუპრაძეს, მეგობრულად გირჩევ, აზრზე მოდიო. კუპრაძემ მიახალა - მე შენ არ გემეგობრები, მეგობარს რატომ მიწოდებო? კალაძემ სიტყვის მასალად გამოიყენა ეგ სიტყვა, თორემ დარწმუნებული ვარ, კუპრაძეს ხელებსაც არ დააბანინებს. ეგრეა, როცა შენი ადგილი არ იცი და ფაჩიკოს გარმონივით იწლაწნები, ამ დონემდე თავხედდები. ისე, მამუკა ხაზარაძის „პადელნიკებს“ თავხედობა არ აკლიათ. კუპრაძე კალაძეს ედავება, ხალხს ძარცვავო, თბილისელებს ატყავებო, არაფერს არ აკეთებო, აღარც სკოლებიაო, აღარც საბავშვო ბაღებიო, აღარც უფასო სასადილოებიო, დიღომში სკოლები საერთოდ დაინგრაო. გაიგონეთ? ხაზარაძის პარტიელი ეუბნება კალაძეს, თბილისელებს ცუდად ექცევიო, სკოლები და საბავშვო ბაღები დაანგრიეთ, აღარ აშენებთო. რაღაცაზე შეიძლება იდავო, რაღაცა მოიგონო, რაღაცა მოიტყუო, მაგრამ რაღაცნაირად ლოგიკაში მაინც ხომ უნდა ჩაჯდე, რომ შენნაირმა აბუეტებმა დაგიჯერონ? ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების წევრებს ხაზარაძის ხელქვეითი ედავები სკოლებისა და საბავშვო ბაღების დანგრევაზე? არაშენებაზე? დიღომში სკოლები რატომ აღარ არისო? კიდევ კარგი, არ თქვა, კალაძემ და ივანიშვილმა თბილსში თეატრები და ეკლესია-მონასტრებიც დაანგრიეს და მამუკა ხაზარაძემ ააშენაო. კალაძეს ან ივანიშვილს რომ ბრიუსელში რესტორანი ეყიდა და ისტორიულ შენობად მოენათლა, ხომ ატეხავდა ერთ ამბავს კუპრაძე? „ლელოური“ ინფორმაციის თანახმად, მამუკა ხაზარაძემ ბრიუსელში, სენ-ჟილის მუნიციპალიტეტში მდებარე ისტორიული შენობა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ყოფილი კინოთეატრი და საბანკეტო დარბაზი იყიდა, რომელიც წლებია უფუნქციოდ იყო მიტოვებული. ხაზარაძის ოჯახი შენობის სრულ რესტავრაციას და მულტიფუნქციურ სივრცედ გადაკეთებას გეგმავს. აქ შეგიძლიათ, გაიცინოთ... ჯერ ერთი, ყოფილი კინოთეატრი და საბანკეტო დარბაზი უცებ კულტურულ მემკვიდრეობად რანაირად გადაიქცა და მეორეც - მულტიფუნქციური სივრცე რას ნიშნავს? როგორც ავი ენები ამბობენ, რესტორანს აკეთებს ხაზარაძე, რეტორანს! ესენი აქეთ ედავებიან კალაძეს - შენ მილანში ძალიან ხშირად დადიხარო, ვაჭრობ თუ რას აკეთებო? თბილისი საერთოდ არ გაინტერესებსო? არა, აქ შეკითხვას არ სვამენ, მტკიცებით ამბობენ, შენ თბილისი საერთოდ არ გაინტერესებსო. კაცმა მთელი თავისი სიჭაბუკე მილანში გაატარა და რა გასაკვირია, ახლა იქ ჩადიოდეს? მეო, თუ სადმე დავდივარ, ჩემი ხარჯით დავდივარ, ბიუჯეტიდან ერთ თეთრსაც არ ვიღებო. სწორია, ასეა, კალაძე ბიუჯეტიდან ხელფასსაც არ იღებს. აი, კუპრაძე კი იღებს, ოღონდ ხაზარაძის ჯიბიდან. თბილისის ბიუჯეტიდანაც უნდოდა აღება, ამიტომ კენჭიც იყარა, მერობა მოუნდა, მაგრამ მოსახლეობამ უთხრა, არა და ვერა, შენ თბილისის შესაფერისი არ ხარო. გაბოროტდა კუპრაძე, კალაძეს არ ემეგობრება, არავინ სთხოვს მეგობრობას, მაგრამ მაინც არ ემეგობრება.

გამოგიტყდებით, ბოლომდე ვერ ვუყურე ამ დებატებს. რაღაცას რომ უყურებ, რამე სარგებელი უნდა მოგცეს, გასწავლოს, დაგაკვალიანოს და იმედი ჩაგისახოს, ესენი კიდევ, როგორც დასაწყისშივე გითხარით, ვარაუდზე მიედმოედებიან. კი, ბატონო, თუ უბრალოდ გართობა და ხითხითი გინდა, უყურებ, მაგრამ ყოველთვის სამაგისო დრო ხომ არ გაქვს? ბოლო-ბოლო, ყოველთვის მაგათ ხასიათზე ხომ არ ხარ? ჰოდა, მეც გადავრთე.

გელა ზედელაშვილი

მარკო რუბიოს შერბენა ერევანში და ნიკა გვარამიას მისალმება რუსთაველის გამზირიდან

26 მაისს, როცა ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს აღვნიშნავდით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი მარკო რუბიო ჩვენს მეზობელ სომხეთში, ერევნის აეროპორტში 45 წუთით შეყოვნდა, სანამ ინდოეთიდან მომავალი თვითმფრინავი საწვავს შეივსებდა, საგარეო საქმეთა მინისტრ არარატ მირზოიანს რაღაც ქაღალდებზე ხელი მოაწერინა და უკან გაბრუნდა. რუბიო ხუთი საათის გაფრენილი იყო საკუთარ ქვეყანაში, როცა „ნაცთა“ აქციაზე ნიკა გვარამიამ სიტყვა, თავისი ჭკუით, ერევანში, სევანის ტბის სანაპიროზე დააწია - მოგესალმებითო, ჩვენ რომ ვყოფილიყავით ხელისუფლებაში, დარწმუნებული ვარ, სომხეთში კი არა, საქართველოში ჩამოხვიდოდიო. თუმცა მაინც მოგესალმებით, „ფაცებოოკი“ ჩამოსქროლე და ნახე, რამდენი ვართო.

ბოლო-ბოლო, რა უნდოდა მარკო რუბიოს „ზვარტნოცის“ აეროპორტში? როგორც სომხური მედია იტყობინება, ის შენობიდან საერთოდ არ გასულა, სახელდახელო ბრიფინგიც კი აეროპორტში ჩაატარა. ქაღალდები, რომელზეც ხელი არარატ მირზოიანს მოაწერინა, სამი განყოფილებისგან შედგება: პირველი გახლავთ აშშ-სა და სომხეთს შორის „ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის“ ქარტია, რომელიც პოლიტიკური ხასიათისაა და უსაფრთხოების, ეკონომიკის, ენერგეტიკისა და დემოკრატიული ინსტიტუტების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას ითვალისწინებს; მეორე - მემორანდუმი „კრიტიკული მინერალებისა“ და იშვიათი მეტალების შესახებ, რომელიც სომხეთის სტრატეგიული ნედლეულის (მათ შორის, სპილენძის, მოლიბდენის) მოძიების, მოპოვებისა და გადამუშავების სფეროში თანამშრომლობის გაფართოებას ითვალისწინებს; მესამე - ჩარჩო შეთანხმება პროექტ **TRIPP**-ის („**Trump Route for International Prosperity and Partnership**“) ფარგლებში, რომელიც ევრაზიის სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ და ინფრასტრუქტურულ ინიციატივებს უკავშირდება.

როგორც ქართველი ანალიტიკოსი დავით ქართველიშვილი აღნიშნავს, პოლიტიკური თვალსაზრისით, ვიზიტის ფორმატი ნიკოლ ფაშინიანის მთავრობის მხარდამჭერისთვის გახდა დემონსტრირება იმისა, რომ ვაშინგტონი მზად არის, საჯაროდ დაუჭიროს მხარი ერევანს, თუკი რუსეთთან ურთიერთობას გააუარესებს. კი, ბატონო, ეს ასეა, მაგრამ სომხეთს უკვე გაუარესებული აქვს რუსეთთან ურთიერთობა და რასაკვირველია, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთმა დაიწყო კიდევაც სომხური თევზის, პროდუქტებისა და ალკოჰოლური სასმელების აკრძალვა. თითქმის ყველა სომხურ პროდუქტში აღმოჩნდა მავნე ბაცილა. ნაცნობი სურათია, ხომ? პროდუქტებს თავი დავანებოთ, დღე არ გავა, რუსეთის მთავრობიდან ან დუმიდან ვინმემ განცხადება არ გააკეთოს იმის თაობაზე, რომ სომხეთი ცეცხლს ეთამაშება.

ბოლო წვეთი გახლდათ ევროპის ქვეყნების ლიდერების შეკრება ერევანში თითიდან გამოწოვილი მიზეზით. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეს იყო წითელი ნაჭრის აფრიალება რუსეთის ცხვირწინ. ამასაც დავანებოთ თავი, რა ინტერესი აქვს აშშ-ს სომხეთში? პირველი არის ის, რაზეც დონალდ ტრამპმა ალიევიც და ფაშინიანიც თავის კაბინეტში შეიყვანა და ორივეს ელადავა - ზანგეზურის დერეფანი, ანუ გზა ევროპისკენ კასპიის ზღვიდან აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქეთის გავლით. ოღონდ, აქ ირანია ცუდად გაჩხერილი, ამ უზარმაზარ ქვეყანასაც აქვს ინტერესები და ყველანაირად ეცდება, აქ ამერიკელები არ შემოუშვას. თუ ტრამპი ირანს დაიმორჩილებდა, ბუნებრივია, ზანგეზურის დერეფანსაც გააკონტროლებდა, მაგრამ ამ ეტაპზე ირანის დამორჩილება არ გამოუვიდა. თან დაუკვირდით, სომხებმა ერთი ხელშეკრულება იშვიათი მეტალების გაზიდვაზეც დადეს, ამერიკელებმა უნდა გაზიდონ სომხეთიდან. ეს იგივეა, რაც უკრაინას გაუკეთეს, ომში დახარჯული 300 მილიარდი დოლარის ნაცვლად 500 მილიარდი მოსთხოვეს ძვირფასი მეტალებისა და მინარალების სახით.

რას იზამს რუსეთი, რომელსაც სომხეთში სამხედრო ბაზა აქვს? ისეთს არაფერს, მარწუხებში მოიქცევს, თავისი უკიდეგანო ბაზრიდან გააძევებს, თავისი ტერიტორიიდან სომხებსაც „დააპაშოლებს“, იქით თურქებს აუმხედრებს, აქეთ აზერებთან მოუწყობს პროვოკაციას და ისე გაუხდის საქმეს, სულ „სირუმ-სირუმე“-ს ძახილით მიჩოჩდებიან რუსებთან. ისე, აფხაზეთში რომ აქვთ მიზომილი ჩვენი მიწები, ეგეც არ დაავიწყდეთ. როგორც კი ფაშინიანმა იგრძნო, რუსები უკმაყოფილონი არიანო, ეგრევე დაიწყო მაგათი ქება - რუსეთი დიდი ქვეყანაა, მისი ინტერესები უნდა გავითვალისწინოთო. მე თქვენ გეტყვით, ამერიკელები დაიცავენ სომხებს თუ ევროპელები?

დავით ქართველიშვილის თქმით, აშშ-ს სომხეთისთვის არ მიუცია არც პირდაპირი უსაფრთხოების გარანტიები, არც მასშტაბური საინვესტიციო პაკეტები და არც ისეთი კონკრეტული ვალდებულებები, რასაც ვაშინგტონი თავის მთავარ მოკავშირეებს სთავაზობს. უფრო ფართო გეოპოლიტიკურ კონტექსტში საქმე ეხება სომხეთის მცდელობას, დააჩქაროს საგარეო პოლიტიკის დივერსიფიკაცია ყარაბაღის კრიზისისა და უსაფრთხოების ძველი არქიტექტურის მიმართ ნდობის მკვეთრი დაცემის შემდეგ. თუმცა ასეთი შემობრუნება გარდაუვლად ზრდის ზეწოლას რუსეთის მხრიდან, რომელიც სომხეთისთვის კვლავ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო, ენერგეტიკულ და სამხედრო ფაქტორად რჩება. ამიტომ მთავარი შეკითხვა არა იმდენად რუბიოს მოკლე ვიზიტის სიმბოლიზმშია, არამედ იმაში, შეძლებს თუ არა ერევანი ხელმოწერილი მემორანდუმების გარდაქმნას რეალურ ინვესტიციებად, ინფრასტრუქტურულ პროექტებად და გრძელვადიან გარანტიებად - და არა მხოლოდ წინასაარჩევნო პოლიტიკურ სიგნალად. თუ ეს იყო წინასაარჩევნო „ტრიუკი“, ანუ ფაშინიანის ერთგვარი დახმარება, ნუ გამოვრიცხავთ, ამან უკურეაქცია უფრო გამოიწვიოს და ფაშინიანმა პირწმინდად წააგოს. გაიხსენეთ, რა მოხდა უნგრეთში - ვიქტორ ორბანის მხარდასაჭერად აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯეი დი ვენსი ჩავიდა. მანამდე ამ ყველაფერს წინ უძღვოდა დონალდ ტრამპის მხარდამჭერი განცხადებები, რომელიც, საბოლოო ჯამში, ანტირეკლამა აღმოჩნდა. ამ სტატიის წერა დასრულებული არ მქონდა, როცა იგივე ტრამპმა იგივენაირი განცხადება „გამოაცხო“ ნიკოლ ფაშინიანის მხარდასაჭერად: „სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი, დიდი მეგობარი და ლიდერი, თავის ქვეყანას აძლიერებს, მდიდარს და ძალიან უსაფრთხოს ხდის!“.

ტრამპის თქმით, ნიკოლ ფაშინიანი სრულად იზიარებს მის ხედვას სომხეთისა და მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონის მშვიდობისა და კეთილდღეობის შესახებ — ნიკოლის დახმარებით, ჩვენ შეერთებულ შტატებს, სომხეთს, სამხრეთ კავკასიას და ცენტრალურ აზიას ოდესმე არსებულზე უფრო მაღალ სიმაღლეებზე ავიყვანთ“.

სომხეთს დიდ სიმაღლეებზე ავიყვანთო, როგორც უკრაინა აიყვანეს, ისე აიყვანენ, მეტი რა საქმე აქვთ? სომხეთი და აზია-ამერიკის დამაკავშირებელი ხაზი? არ არსებობს, ეს არის ერთ-ერთი იშვიათი ქვეყანა, რომელიც ჩაკეტილია არც თუ სასიამოვნო გარემოცვით და არ გააჩნია მთავარი - ზღვა. სიმართლე რომ გითხრა, სომხეთი აღმოჩნდა ის პატარა სახელმწიფო, რომელიც რუსეთის „საჩქმეტად“ უნდა გამოიყენონ და რასაკვირველია, თუ ამა წლის ივნისში ფაშინიანს არ მოიშორებენ, მიიღებს იმას, რაც უკრაინამ მიიღო. ერთი ეგ არის, სომხეთს ისეთი წინააღმდეგობის გაწევა ნამდვილად არ შეუძლია, როგორიც უკრაინამ გაუწია რუსეთს.

დავუბრუნდეთ ჩვენს საცოდავ და გაფარჩაკებულ ე. წ. ოპოზიციას, რომელსაც ამჟამად მასწავლებლად ვინმე იგორ ბლაჟევიჩი, „პრაღის სამოქალაქო საზოგადოების“ ერთ-ერთი ლიდერი მოევლინა და ათასნაირ სისულელეს აკეთებინებს. ამ უბედურებს ისღა დარჩენიათ, სომხეთიდან წასულ მარკო რუბიოს ჰაერში ტელეფონის ფანრებით მიესალმონ და იოცნებონ, რომ ოდესმე აშშ საქართველოსაც დაბომბავს და ბიძინა ივანიშვილს დააპატიმრებს. იოცნებონ, ჩვენი რა მიდის? ოცნებას ხომ კაცი არ მოუკლავს?

ამასობაში კი ყოველდღიურად იშიფრება და იშლება ე. წ. ოპოზიცია. ალბათ, გახსოვთ, ახალდაქორწინებული სიძე-პატარძალი რომ ჩამოატარეს 26 მაისის აქციაზე, ეს ფერადი რევოლუციის ერთ-ერთი კომპონენტია, სხვა ქვეყნებშიც გამოუყენებიათ, რათა მოსახლეობას გული აუჩქროლონ და პომპეზურობის შთაბეჭდილება შექმნან. მეთოდები რომ მოუძველდათ, ეს აშკარაა, მაგრამ ერთსა და იმავეს ჯიუტად იმეორებენ. აი, რას ამბობს ე. წ. პატარძალი მარიამ კირვალიძე:

„ჩვენ ვართ მოდელები და გვქონდა გადაღება. ამ ეროვნული სამოსით მოგვიწია გავლა თავისუფლების მოედნიდან რუსთაველის გამზირამდე - გადაგვიღეს კადრები და გამოიყენეს თავისთვის“.

ამაზე კომენტარს არ გავაკეთებ - არ მინდა, მოზარდს გული დავწყვიტო. თუ უნებლიეთ გამოიყენეს, მაშინ მიმართოს, ვისაც ეხება და სამართალი იზეიმებს. მე მგონი, უნდა მიმხვდარიყო, სად მიჰყავდათ და რას აკეთებინებდნენ. თუ თვითონ ვერ მიხვდა, მშობლები უნდა დაინტერესებულიყვნენ.

არანაკლებ სკანდალურ რაღაცას ამბობს იმ მანქანის მძღოლი ირაკლი დუდაშვილი, რომელმაც ე. წ. ოპოზიციისთვის რუსთაველზე აპარატურა მიიტანა:

„თავს მოტყუებულად ვგრძნობ, მე ინფორმაცია მქონდა, რომ პატარა კონცერტივით უნდა ჩატარებულიყო და მუსიკები უნდა ყოფილიყო იქ - ვინც მესაუბრებოდა, სახელი შუშანა ერქვა. არ ვიცოდი, რომ თანხას აგროვებდნენ, გავიგე გვიან ღამით. მაგაზეც დავურეკე და ვუთხარი, არ მინდა-მეთქი“.

თანხას იმიტომ აგროვებდნენ, რომ დუდაშვილს მართვის მოწმობა ჩამოართვეს და თან დააჯარიმეს. თქვენი არ ვიცი და... მე არ მჯერა, რომ დუდაშვილმა არაფერი იცოდა და იქ წავიდა, სადაც თურმე „პატარა კონცერტივით“ უნდა ჩაეტარებინათ, უბრალოდ, ახლა კანონს დაეჯახა და ცდილობს, როგორმე მართვის მოწმობა მაინც დაიბრუნოს. როცა დაინახა, „პატარა კონცერტივით“ არ იყო, ვერ გაბრუნდა უკან? აპლოდისმენტების დროს თავს რომ აქიცინებდა, ვერაფერს მიხვდა? მიხვდა, როგორ არა, მანამდეც ყველაფერი იცოდა, მაგრამ ესენი ეგეთები არიან, როცა გაუჭირდებათ, ჩვრებად იქცევიან. არ ვიცი, შეიძლება ვცდები და ნეტავ, ვცდებოდე.

14 წელიწადი, ხალხო, მთელი 14 წელიწადი ერთ წრეზე დაბოდიალობენ და 26 მაისს იგივე წრეზე წავიდნენ. არჩევნებიდან არჩევნებამდე ერთსა და იმავეს იმეორებენ, ერთსა და იმავე წყალს ნაყავენ, ნუთუ აღარ მობეზრდათ? არა, აღარ მობეზრდათ, რადგან ეს მათი ბიზნესია, ამით საზრდოობენ და ამით ცხოვრობენ. ამ ბიზნესზე უახლოეს ხანში დეტალურად გიამბობთ.

გელა ზედელაშვილი

გორის ინციდენტი საბოტაჟს ჰგავს

„პოლიტიკისა და სამართლის ობსერვერის“ დამფუძნებელი გრიგოლ გაგნიძე:

— ბატონო გრიგოლ, წინა კვირას გორში მომხდარმა ინციდენტმა, როდესაც პოლიციელებმა მოქალაქეზე იძალადეს, საზოგადოება აღაშფოთა. წინა ინტერვიუში სწორედ იმაზე საუბრობდით, რომ აუცილებელია, ინსტრუქტაჟი, რათა პოლიციელმა ქცევის წესები იცოდეს.

— დიახ, ბოლო წლებში მსგავსი შემთხვევები პერიოდულად მეორდება. გაგახსენებთ საკმაოდ გახმაურებულ ფაქტს, როცა პოლიციელმა მეტროში შშმ პირი დააკავა, რომელიც ვერ მეტყველებდა და მასზე ფიზიკურად იძალადა. ეს საზოგადოებისთვის მტკივნეული თემაა. სულ ახლახან კი ის სპეცრაზმელები დააპატიმრეს, რომელთაც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ გამართულ საპროტესტო აქციაზე მომიტინგეებზე იძალადეს და უფლებამოსილებას გადაამეტეს. რაც შეეხება გორში მომხდარ ფაქტს, ნამდვილად საყურადღებო და შემაშფოთებელია. გავრცელებული ვიდეოთი ვიხილეთ გაუწონასწორებელი პოლიციელების სასტიკი ქმედება მოქალაქის მიმართ, რომელიც ბანკის თანამშრომელი აღმოჩნდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ პოლიციელებს წარსულშიც არაერთხელ უძალადიათ, რაც მაშინ შერჩათ და ახლა ისევ იგივე გაიმეორეს.

— ვიდეოს ნახვის შემდეგ, როგორც ადვოკატს, რა შეკითხვები გაგიჩნდათ, რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ გადაღებულმა ვიდეომასალამ?

— გორში მომხდარი ინციდენტი უფრო სახელმწიფოს, ხელისუფლების მიმართ საბოტაჟს ჰგავს. რაც ვიდეოში ვიხილე, კამერა ისე იღებდა, რომ დადგმულ სცენარს, ჩასაფრების შთაბეჭდილებას ტოვებს. ვინც მეტ-ნაკლებად იცის, როგორ ხდება პოლიციელების მიერ ვიდეომასალის გადაღება, მიხვდება, რასაც ვგულისხმობ. ვიდეო შორი დისტანციიდან იყო გადაღებული. უცნაურია ისიც, თუ როგორ აღმოჩნდა იქ სწორედ იმ დროს ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტი. როგორც გაჟღერდა, იგი ინციდენტის ადგილმდებარეობასთან ახლოს ცხოვრობს. იმ მომენტში იქ როგორ აღმოჩნდა, ეს გამოძიებამ გარკვეულ დროსა და ვადაში უნდა დაადგინოს. ვიმეორებ, არ გამოვრიცხავ, რომ ამ სცენარის დაადგმაში თანხა იყოს გადახდილი საბოტაჟის მოსაწყობად.

სამწუხაროა, რომ პოლიციელებმა მოქალაქეზე იძალადეს. თუ პირი დამნაშავეა და თან პოლიციას წინააღმდეგობას უწევს, იგი უნდა დააკავო და პასუხისგებაში მისცე, მაგრამ წაქცეულს რომ ურტყამ, თან ერთი კი არა, რამდენიმე ადამიანი, ეს საზოგადოებაში სამართლიან აღშფოთებას იწვევს.

ჩემი აზრით, პოლიციელების დატრენინგება, მათთვის ინსტრუქტაჟის მიცემა, აუცილებელია, რათა კარგად გააცნობიერონ და მიეჩვიონ იმ აზრს, რომ მსგავსი ქმედება უფლებამოსილების გადამეტებაა. ასეთ ქმედებებს სტრასბურგის სასამართლო განიხილავს როგორც წამებას, არაადამიანურ მოპყრობას. როგორც იცით, ოპოზიცია შანსს არ უშვებს, მაქსიმალურად ცდილობს, მსგავსი შემთხვევები სწორედ სტრასბურგის სასამართლოში გაასაჩივროს. ჩვენ ამის საბაბი არ უნდა მივცეთ.

დიახ, პოლიციელმა უნდა გააცნობიეროს, რომ მას მსგავს შემთხვევებში ათმაგი პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე სხვა უწყების წარმომადგენლებს.

— როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად?

— მსგავსი შემთხვევების თავიდან ასარიდებლად აუცილებლად მივიჩნევ, თვეში ერთხელ მაინც, შსს-ის ყველა განყოფილების ხელმძღვანელობამ პოლიციელებს გარკვეული ინსტრუქციები ჩაუტაროს. რამდენიმე თვეში ამ ინციდენტს ყველა დაივიწყებს. ამიტომ სამართალდამცავების მიერ უფლებამოსილების გადამეტებას კიდევ რომ არ ჰქონდეს ადგილი, სწორედ ამისთვის არის საჭირო მათი დატრენინგება. პოლიციელები საკუთარ უფლებებს კარგად უნდა გაეცნონ. ეს, გარკვეულწილად, შეამცირებს პოლიციელების მხრიდან მსგავსი გადაცდომების რისკებს.

მეტი თვალსაჩინოებისთვის, ამ ინციდენტის პასუხად, სტრასბურგის პრეცედენტს მოვიშველიებ, რაც პრესის მიერ მოძალადე პოლიციელების მხილებას ეხებოდა. 1986 წლის 8 ივლისს lingens-ის საქმეში სასამართლომ დაადგინა: მართალია, პრესამ არ უნდა გადალახოს ის საზღვრები, რომლებიც, მათ შორის, დადგენილია სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად, მიუხედავად ამისა, პრესის მოვალეობაა, გააჟღეროს ინფორმაცია და იდეები პოლიტიკურ, ასევე, საზოგადოებისთვის სხვა საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით. მსგავსი ინფორმაციის გაცემის ამოცანა მხოლოდ პრესას კი არ აკისრია, არამედ ასევე საზოგადოებას გააჩნია ინფორმაციის მიღების უფლება. სასამართლოს გადაწყვეტილებები ნაკარნახევია იმ ფაქტისადმი ძალიან დიდი მნიშვნელობის მინიჭებით, რათა საზოგადოება სისხლის სამართლებრივი თუ სხვა სანქციის შიშით საზოგადოებრივი ინტერესების მქონე საკითხზე აზრის გამოთქმას არ მოერიდოს.

დესტრუქციული ოპოზიცია, გარე ძალები, ხილულად თუ უხილავად ქვეყნის დისკრედიტაციისკენ არიან მომართულნი. ამიტომაც გამოვთქვი საფუძვლიანი ეჭვი, რომ გამორიცხული არ არის, ეს ინციდენტი სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული საბოტაჟის მცდელობა იყოს. რადიკალურ ოპოზიციას როდის როგორ აწყობს, ისე იქცევა: ახლა ხელი გაიშვირეს, ნახეთ, პოლიციელები როგორ იქცევიანო. ხოლო როცა დასჭირდებათ, პოლიციელებს ეტყვიან: ხომ ხედავთ, ხელისუფლება გაპატიმრებთ. ჩვენს მხარეს გადმოდით და არ დაგიჭერთო. მსგავსი ანარქია, საბოტაჟის მცდელობა საპარლამენტო არჩევნების პერიოდში უკვე ვიხილეთ. ამიტომ შსს-ს კადრების შერჩევისას განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს. რატომ უნდა ურტყა წაქცეულს, დაადე ბორკილები და წაიყვანე განყოფილებაში. პოლიციელების აგრესიის მართვაა საჭირო. ოცი წლის პოლიციელს უფრო მეტად უნდა აუხსნა, როგორ მოიქცეს და თუ სამართალდამცავი სტაჟიანია, იგი მეტად გაწონასწორებული უნდა იყოს. ვიმეორებ, ჩვენს ქვეყანას გარე თუ შიდა საფრთხეებიდან გამომდინარე, დამატებით სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის და იური ვაზაგაშვილის საქმის გამეორება არ სჭირდება. ამიტომ საბოტაჟი, პროვოკაციები რომ არ განმეორდეს, ამისთვის პრევენციული ღონისძიებების გატარებაა საჭირო.

— თქვენ ახსენეთ, პოლიციელებს სიფრთხილე მართებთო. სიფრთხილისკენ მათ თეა წულუკიანმაც მოუწოდა, მტრებს სალაპარაკო არ მივცეთო.

— მოხელის საჯარო გაფრთხილებას, საზოგადოების ნაწილი უარყოფითად, ნაწილი კი, დადებითად აღიქვამს. თეა წულუკიანის ნათქვამს სწორად გაგება სჭირდება. ხელისუფლების მიმართ უარყოფითად განწყობილმა ნაწილმა, წულუკიანის სიტყვებს ასეთი ინტერპრეტაცია მისცა — ფრთხილად იყავით, ძალადობის ჩადენისას არ გადაგიღონო. რეალურად, სიფრთხილე ნიშნავს, რომ მსგავსი გადაცდომები თავიდან უნდა იქნას აცილებული, რაც უწყების, ქვეყნის რეპუტაციას აზიანებს, რადგან მსგავსი ინციდენტები შეიძლება ფატალურად დასრულდეს.

გავრცელდა ასეთი ვერსიაც, რომ დამნაშავე პირმა პაპუნა ლოცულაშვილმა დაკავებამდე ნარკოტიკი გადააგდო. ეს უწყების თანამშრომლებმა უნდა დაადგინონ და გამოკვეთონ, რათა დამნაშავის დაკავება ინციდენტში არ გადაიზარდოს. როგორც პატრულის თანამშრომლებს აქვთ კამერები და გარკვეული ინციდენტების დროს იყენებენ, ასევე კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლებსაც შეუძლიათ მსგავსი კამერების კანონის ფარგლებში გამოყენება. შეიძლება მოქალაქის მხრიდან თავის დაცვის ან პროვოკაციის მიზნით ადგილი ჰქონდეს ძალადობას, თუნდაც პოლიციელს დაარტყას, ამ უკანასკნელმა ვერ მოითმინოს და მოქალაქეს იმავე ძალადობით უპასუხოს, ანუ უფლებამოსილებას გადაამეტოს. ჩემი აზრით, ეს რომ არ მოხდეს, სასურველია, მსგავსი ოპერაციების ჩატარებისას, პოლიციელებს კამერები ჰქონდეთ მიმაგრებული, რათა სიმართლე მარტივად დადგინდეს. ასე საკუთარ ქმედებებსაც გააკონტროლებენ და დამნაშავესაც.

— ბატონო გრიგოლ, გორის ინციდენტიდან მალევე, რადიკალებმა სისტემურ დანაშაულზე საუბარი დაიწყეს. რეალურად, რასთან გვაქვს საქმე?

— უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა პოლიციელების ქმედება მკაცრად დაგმეს და აღნიშნეს, რომ კანონის ყველა დამრღვევს პასუხი მოეთხოვება, რაც მისასალმებელია. სახელმწიფომ დამნაშავე პოლიციელები არ დაიცვა, რაც მის სიძლიერეზე მიუთითებს. ოპოზიცია გაჰყვირის: სახეზეა სისტემური დანაშაულიო. ზოგში სიტყვა — სისტემა უარყოფით ინტერპრეტაციას აღძრავს. სისტემაა თავად ეს უწყება. თუ პოლიციელების მხრიდან ძალადობის ფაქტები ხშირად ხდება, მხოლოდ მაშინ შეიძლება სისტემურ დანაშაულზე ვისაუბროთ. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ მსგავსმა შემთხვევებმა სისტემური ხასიათი არ მიიღოს, რადგან ეს ხალხში უკმაყოფილებას გამოიწვევს და ჩუმი პროტესტი იფეთქებს, რაზეც წინა ინტერვიუში ვრცლად ვისაუბრე.

დიახ, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს დამნაშავე პოლიციელები არ დაუცავს, პირიქით, მათ გამოაშკარავებას ცდილობს. მეტიც, საზოგადოებას მოუწოდებს, მსგავს შემთხვევებზე შსს-ს ცხელი ხაზის მეშვეობით ინფორმაცია მიაწოდოს.

აქვე გეტყვით, რომ, როცა პატიმარი ციხეში შედის, იგი სამედიცინო შემოწმებას გადის იმის დდასადგენად, დაკავებისას რაიმე დაზიანება ხომ არ მიიღო. ეს სტატისტიკა იუსტიციის გარდა, სახლახო დამცველსაც აქვს, რომელსაც დაკავებისას ძალადობის შემთხვევაში, პატიმრის ოჯახის წევრები ხშირად მიმართავენ. ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია, პატიმარს სამედიცინო შემოწმება ჩაუტაროს, რადგან დაზიანებულ ადამიანზე პასუხისმგებლობის აღება უწყებას ცალკე ხარჯი უჯდება (მკურნალობა და სხვა). სამედიცინო შემოწმების გარეშე პატიმრის მიღებას სახელმწიფოს მიმართ შეიძლება ჯაჭვური რეაქცია მოჰყვეს.

თამარ შველიძე

მეზობელი კარისაო სინათლეა თვალისაო!

ნეტავ, ვინმემ იცოდეს, როგორ მომწყინდა ეს გაუთავებელი პოლიტიკა და დაუსრულებელი იდიოტიზმი!

რა კარგ დროს მოვესწარი, იმხელა სსრკ-ში მხოლოდ ის ვიცოდი, სახელმწიფოს მეთაური ვინ იყო და თავდაცვის მინისტრი რა გვარის იყო, სახეზეც კი ვერ ვიცნობდი, ხოლო საქართველოში ამას შსს მინისტრის ცნობადობა ემატებოდა.

ახლა მთელი სამეზობლოს (ოთხი მოსაზღვრე სახელმწიფო) პოლიტისტებლიშმენტი ხომ ვიცი; ამას ერთვის კრებსითი დასავლეთი და აღმოსავლეთის ყველა ის ქვეყანა, რომელიც კონკრეტული მომენტისთვის ომშია ჩართული, ან ეკონომიკური თვალსაზრისით ვებმებით. მერე გვიკვირს, ნერვიული ფონი რატომ არისო? პირმცინარ ადამიანს რომ დავინახავ, ჭკუანაკლული მგონია უკვე...

თვალი მოვკარი, რუსეთს სომხეთისთვის უკვე ის ბრანწი უჩვენებია, რაც ჩვენ უკვე დაგვანახა, ფაშინიანი კი დადის და ხან „პერაშკს“ ილუკმება, ხან სიმინდსა და ჩურჩხელას მიირთმევს საზოგადოებრივ ტრანსპორტში – ნეტავ, მისი პიარის „უფროსი“ დამანახა. იმ ყვავილებს გულზე დააწყობენ თავისივე სომხები, რომლის შეტანაც უკვე აკრძალა რუსეთმა, იმ შეზღუდული კონიაკებით მის შესანდობარს დალევენ, „ზაკუსკად“ შეზღუდულ ბოსტნეულსა და კენკრას მიაყოლებენ, ნაბახუსევზე კი იმ დაწუნებულ მინერალურ წყალს დალევენ. ჯერ ხომ უკრაინამ ვერაფერი ისწავლა ჩვენს მაგალითზე, ახლა კი სომხებმაც, გამორჩენის მხრივ ჭკვიანები რომ მეგონენ, აურიეს.

მედვედევი რამეს რომ იტყვის ვინმეზე, იგივე კრემლის ნააზრევია, ფაქტობრივად, ჟირინოვსკი-2-ია, უბრალოდ, ეს ცოტა ხმადაბლა „ყვირის“.

„როგორც ვიცით, ისინი, ვინც ორ სკამზე ჯდომას ცდილობენ, მტკივნეულად ეცემიან მოდუნებულ უკანალზე...

ეს ზუსტად იეს არის, რასაც, როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში გეგმავს გარკვეული ადამიანი, მეტსახელად ნიკოლი. ის გამუდმებით ათრევს თავის „ზესახელმწიფოს“ ევროკავშირში, ამავდროულად, ცდილობს, ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში მონაწილეობის ყველა უპირატესობა შეინარჩუნოს...

გარდა ამისა, ტრამპთან და მაკრონთან საუბრებით შთაგონებული, კავკასიელი რეფორმატორი იმდენად შორს წავიდა, რომ თქვა, ნებისმიერ ვითარებაში რუსეთი ვალდებულია, შეინარჩუნოს გაზის მიმდინარე ფასები მისგან მიმავალი „პარტნიორისთვის“ – 177,5 აშშ დოლარი 1000 კუბურ მეტრზე. და არ აქვს მნიშვნელობა, რომ ამ პროდუქტის ფასი ევროპაში 2026 წლის მაისში დაახლოებით 570-590 აშშ დოლარი იყო ათას კუბურ მეტრზე **TTF habze** (ნიდერლანდები).

სხვაგვარად როგორ იქნება? მართლაც ყველასთვის ნათელია, რომ, თუ ისინი ბენზინის ევროპულ ფასებზე გადავლენ, ქვეყნის მოსახ-



ლეობა ამ ბიჭს „ჩასველებული ნაჭრებით“ პირდაპირ პარიზში, თავის შეყვარებულ მეგობარ მაკრონთან გაგზავნის. ამიტომ უწევთ მათ, თავხედურად ამოძრავონ უკანალი და ყველას ერთდროულად ასიამოვნონ. მაგრამ ეს ასე არ ხდება. ყოველდღიურად იზრდება შანსი, რომ კიევის ხელისუფლების მსგავსად, ეკონომიკური რეალობის ჯიუტ ზღარბზე შიშველი უკანალით დაეშვან.

ამიტომ, დროა, დაიწყონ მოლაპარაკებები ამერიკული თხევადი ბუნებრივი აირის ზღვით პირდაპირ „ქვეყნის პორტებში“ მიწოდებაზე!“ – თითქოს გასართობად ამბობს რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევი.

არადა, ერთობა და დასცინის, აბა, რომელი პორტებიდან მიიღებს სომხეთი გაზს, სევანის ტბა პირდაპირ უერთდება რომელიმე ზღვას ან ოკეანეს და ეს საიდუმლო არავინ იცის მათ გარდა? თუმცა, კი თქვა რომელიღაც „ევროგანსწავლულმა“ სომხეთის პორტებთან დაკავშირებით რაღაც „გენიოსობა“.

გეოგრაფია ვის ანტერესებს, სამეზობლოს თავზე რა ღრუბლები იკვრება ის ვთქვათ, რადგან სამეზობლოში მიმდინარე პროცესები, ავი თუ კარგი, ყოველთვის ახდენს გავლენას რეგიონზე.

ეტყობა, ფაშინიანსაც ჰყავს ნჯო-ები, ანუ უსამშობლო არმენები, თვითონაც კარგი მადა აქვს, მხოლოდ „პერაშკი“ კი არ უყვარს, ჰოდა, თავისას ცდილობს ბიჭი.

ჩვენს უსამშობლოებს 6 მლრდ ჩაატენეს, მაგრამ არმენებს, ეტყობა, ჯერ მლრდ-იც არ აქვთ მიღებული, თორემ აქამდე ამოიქოქებოდნენ.

აფსუს, არმენული არ ვიცი, თორემ სულ წერტილ-მძიმეთი ჩამოვუწერდი არმენიის „განთიადს“.

ფაშინიანი ვიღაცას მაგონებს – ხან ჭრის, ხან – კერავს. წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ამომრჩევლებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ სომხეთსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საკითხი, შესაძლოა, მაქსიმუმ ორ წელიწადში გადაწყდეს – იმ დროისთვის, თქვენ მხოლოდ ის დაგრჩებათ, რომ არ დაგავიწყდეთ თან პასპორტისა და ბილეთის წაღებაო; ხან კი რუსეთს ადიდებს და ეხუტება.

ხმა გავრცელდა, რუსეთის სპეცსამსახურების ანალიტიკოსებმა სომხეთში ხელისუფლების შეცვლის ხუთი შესაძლო სცენარი განიხილეს, თუმცა 4 ვარიანტი: სამხედრო გადატრიალება, იმპიჩმენტი, ნებაყოფლობითი გადადგომა ან ქუჩის პროტესტი შეუსრულებლად ჩათვალეს და ერთადერთ რეალურ შანსად 7 ივნისის საპარლამენტო არჩევნები მიიჩნიესო.

ამბობენ, რომ რუსეთი ფსონს მილიარდერ ბიზნესმენზე, სამველ კარაპეტიანზე დებს, რომელსაც „სომეხ ივანიშვილს“ უწოდებენო. რუსების გეგმის მიხედვით, კარაპეტიანის ახალი პარტია უნდა წარსდგეს როგორც „მესამე ძალა“, რომელიც ორიენტირებული იქნება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ინვესტიციებსა და უმთავრეს მიზანზე, რუსეთთან სტრატეგიული ურთიერთობების აღდგენაზე. ოპოზიციური ველი უნდა გაერთიანდეს ერთ დიდ ალიანსში და ამგვარად მიიღოს მონაწილეობა 2026 წლის არჩევნებში პრინციპით „კედელი კედელზე“, როგორც ეს მოხდა საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, სადაც სააკაშვილის პარტიამ სასტიკი მარცხი განიცადა მილიარდერ ივანიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილ ერთიან ოპოზიციასთანო.

7 ივნისის არჩევნების წინ, პოლიტიკური ცანცარის სანაცვლოდ რუსეთმა სომხეთს ყველაზე მტკივნეულად დაურტყა საფულეზე და უფრო გამოკვეთა ისედაც დაპირისპირებული მხარეები. ფაშინიანის მხარდამჭერები ამას კრემლის ზეწოლად აღიქვამენ, ოპოზიცია კი თავად ფაშინიანს ადანაშაულებს მთავარ ეკონომიკურ პარტნიორთან ურთიერთობების დანგრევაში.

ყარაბაღის ამბების შემდეგ რუსეთის მნიშვნელობა კარგად გამოჩნდა, ახლა კი ეკონომიკური გაბუტვაც თუ დაერთო, რას ფიქრობენ, ნეტავ? მედვედევისა არ იყოს, პოლიტიკურად რუსეთისგან დისტანცირება, მაგრამ ეკონომიკურად კვლავაც რუსულ ბაზარზე ჩამოკიდება ვერ შეეთავსება ერთმანეთს. მოსკოვს ერევნის ტანკებით აღება არ სჭირდება, „რაკეტა ონიშჩენკოც“ კმარა.

რადგან ჩვენ ეს და ამდაგვარი სერიალები წლების განმავლობაში საკუთარ უთავო მხრებზე ვიწვნიეთ, ადვილია სავარაუდო „წინასწარმეტყველება“ – რუსეთის გასაღიზიანებლად თბილისმა და ბაქომ არ ივარგეს, ერევანი ბოლო შანსია სამხრეთ კავკასიაში. ევროკავშირს შეუძლია გრანტების პრაქტიკული და პოლიტიკური მხარდაჭერის შეთავაზება, მაგრამ მერე? დანარჩენი ევროპას არც ახლო მომავალში შეუძლია და არც გრძელვადიან პერსპექტივაში. ბერძნების ცნობილი თქმაა: ჩემი ჭამო, დალიო და ფეხები სხვას აუშვირო, არ გამოვაო.

ისე, „მულო შენ გეუბნები, რძალო შენ გაიგონე“, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოსაკრავი ანდაზაა – მთავრობაში რომ იციან, ვხედავ და „კიდევ-კაი-ს“ ვამბობ... მგონი, არ მეჩვენება, რომ რუსულ გაზს ვხმარობთ, რუსულ დენს, რუსულ საწვავს ვასხამთ მანქანებში, რუსული ხორბლის პურს მივირთმევთ და ისევ რუსეთს ვაგინებთ...

7 ივნისს თუ ფაშინიანმა იმარჯვა და ღრმად „შიგევროპელობა“ წამოიწყეს, როცა გაახსენდებათ, რომ ინდოევროპელი არმენები არიან, რაც დღეს აქვთ, იმისგან უკვე აღარაფერი ექნებათ...

მართლა არ მესმის, გარდა იმისა, რომ რუსეთის გამღიზიანებელ ფინიად უნდათ, სხვა რაში არგიათ არმენია, რატომ უნდა არიონ, წინდაწინვე წაგებულზე ფსონის დადება რა მხრივ გადაწყვიტეს?

კარგი, რაღაც მოსაზრება აქვთ და წამოიწყეს – ქართული გვარის მავნებელ ნჯო-ებსა და სამშობლოს დანარჩენ გამყიდველებს 6 მლრდ მავნებლობითვის, შესაბამისად, რაც საქართველოში დაიხატა, სომხეთშიც იგივე სურათი დაიხატება. მანამდე უამრავი „საქმე“ გამოჩნდება – თუ სადმე რამე სასიცოცხლოდ უფეთქავთ ეკონომიკური თვალსაზრისით, ის გაუნადგურდებათ; სომხეთი ახალგაზრდებისგან დაიცლება... ჩვენ 5 500 000 დან დღეს 3 მილიონზე ცოტა მეტი დავრჩით, სომხეთი ახლა არის 2 900 000 და რაღა დარჩება? სოფლები დაეცლებათ და გაუპარტახდებათ, სასოფლო სამეურნეო მიწებს ვინ აალის, ვერ გაიგებენ, რადგან თვითონვე გაყიდიან. „ველიკაია არმენია“ კი არა, ერის გენოციდისა და ანექსიის ტოლფასი მდგომარეობა შეექმნებათ.

არ ვიცი არმენიის სწავლა-განათლების სისტემის შესახებ, მაგრამ თუ ნორმალურად აქვთ, ძირფესვიანად განადგურებაში დაეხმარებიან და წარმატებით მოუსპობენ;

თუ სიტყვის თავისუფლების, ადამიანის და, განსაკუთრებით, ბავშვების უფლებების დაცვის ნორმები და კანონები აქვთ, სრულიად წაუშლიან და ოჯახებსაც მიუყოლებენ;

თუ ახლა მხოლოდ სხვადასხვა ხედვის გამო სიტყვიერად უპირისპირდებიან ერთმანეთს, მალე ისე შეაზიზღებენ ერთმანეთს, რომ ვერც მიხვდებიან, რა დაემართათ და ვინ დამართათ...

აბორიგენ ქართველებს ფულისმოყვარის იმიჯი არ გვქონდა, მაგრამ ფულზე გაყიდეს უსამშობლო ქართველებმა საქართველო და უსამშობლო სომხების მიერ სომხეთის გაყიდვა რა გასაკვირი იქნება...

დაწვრილებით რომ „ვუწინასწარმეტყველო“, აზრს ვერ ვხედავ, მაგრამ ის ნამდვილად ვიცი, რომ 6 მლრდ დოლარს ან ევროს სომხეთისთვის ჰაერში არ გაისვრიან.

მაინც ვერ ვიგებ, რუსეთისთვის ყეფა-პწკენის გარდა, რა დანიშნულებისთვის უნდათ ყოვლად უსარგებლო არმენია, ტუფის ქვისა და გარგარისთვის?

ინდოეთიდან შინ მიმავალი მარკო რუბიოს 45-წუთიანი ვიზიტით „ზვართნოცის“ აეროპორტში, ფაშინიანმა ხელი რომ მოაწერა ქარტიას აშშ-სთან ყოვლისმომცველი პარტნიორობის შესახებ, არმენიამ რა მიიღო სინამდვილეში, რეალური დახმარების ნაცვლად, განზრახვის მემორანდუმები? უსაფრთხოების გარანტიების ნაცვლად, რუსეთთან დაპირისპირების გაღრმავება, ეკონომიკური კეთილდღეობის ნაცვლად, დასავლეთსა და ევრაზიულ კავშირს შორის ბრძოლის ველად გადაქცევის პერსპექტივა?

ირანმა კი თავისი წარმოების საჰაერო თავდაცვის სისტემა „**Majid**“ სომხეთს გადასცა. მე ვიყო ქუვეითის შპიონი, არმენები თუ აზრზე იყვნენ, გარშემო რა ხდება...

ასეა თუ ისე, 8 ივნისს სომხეთში ჩატარებული არჩევნების შედეგები ცნობილი იქნება.

როგორც უნდა დასრულდეს მათი არჩევნები, სომხეთმა საქართველოზე უნდა გააკეთოს სწორება, რადგან მოცემულობაა ასეთი, სხვაგვარად გეოპოლიტიკურ ორმოში იჯდება და გარე სამყაროს მოწყდება.

წითელი მზე, შავი ზღვა და ზღვაზე თეთრი აფრები, ტრანზიტი და მისთანები, ისეთია, აერევა დავთრები...

მეზობელი კარისაო, სინათლეა თვალისაო!

ზურა ოქხერელი

უმაღლეს სასწავლებელს სტუდენტი უფრო სჭირდება, ვიდრე ლექტორი?!



გვესაუბრება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი სოსო სიგუა:

— ბატონო სოსო, თქვენ წლების განმავლობაში ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობდით. წინა ხელისუფლებამ მთელი რიგი ინსტიტუტები, სადაც სერიოზული სამეცნიერო კვლევები მიმდინარეობდა, გამოყო და მერე მათი შენობები გაყიდა. დღეს რა მდგომარეობაა, მეცნიერება რამდენად ვითარდება?

— დიახ, სააკაშვილმა რეფორმის ნიღბით, საბაბით მეცნიერებათა აკადემია და სახელმწიფო უნივერსიტეტი დაანგრია. რაც შეეხება მეცნიერებათა აკადემიის დღევანდელ მდგომარეობას, მისი პრეზიდენტი ბატონი როინ მეტრეველი, არსებული სახსრებით ყველაფერს აკეთებს და კიდეც შეძლო, მეცნიერებათა აკადემია დაშლიდან აღმავლობისკენ შემოებრუნებინა იმ ფარგლებში, რის საშუალებასაც კანონი იძლევა. დღეს აკადემია გამოცოცხლებულია: იმართება კონფერენციები, კომისიის სხდომები მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხებზე, გამოიცემა სამეცნიერო წიგნები, ჟურნალები. რაც მთავარია, დღეს არსებული მონაცემებით, მეცნიერებათა აკადემია აღმავლობის გზას ადგას.

— როგორც ვიცი, განათლების სამინისტროსთან ერთად, მეცნიერებათა აკადემია მეცნიერების განვითარების რეფორმაზე მუშაობს. როგორ ფიქრობთ, პრიორიტეტი რას უნდა მიენიჭოს?

— მეცნიერების განვითარება განათლების სისტემაში, მეცნიერებაში ახალგაზრდების მოსვლას უკავშირდება. თუმცა, კრიზისული ვითარებაა იმ კუთხით, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ლექტორების, მეცნიერ-მუშაკების ხელფასები ძალიან დაბალია. ახალგაზრდა ამას რომ ხედავს, ცდილობს, გზა სხვაგან ეძებოს, სადაც მეტი შემოსავალი, დაფასება და პერსპექტივა ექნება. როცა ახალგაზრდა ინგლისურ ენას ფლობს, უცხოელებთან კონტაქტები აქვს, რა თქმა უნდა, საზღვარგარეთ წასვლას ამჯობინებს, სადაც გაცილებით დიდი ხელფასი და იდეების რეალიზებისთვის მეტი საშუალება ექნება. შედეგად, მათი ცოდნა ჩვენს უნივერსიტეტებს, მეცნიერებათა აკადემიას აკლდება. თუკი ადრე ახალგაზრდები სამეცნიერო საქმიანობისკენ მასობრივად ისწრაფვოდნენ, ახლა ამ პროცესს ჩამოცილებულნი არიან. თითოეროლა თავდადებული, თავგანწირული ახალგაზრდა ყოველთვის გამოჩნდება, მაგრამ ეს მეცნიერებაში საერთო სურათს ვერ შექმნის.

მეცნიერება პოეზია არ არის, რომ დაჯდე და ყოველგვარი მატერიალური რესურსების გარეშე ლექსები დაწერო და მერე მისი წიგნად გამოცემა მოახერხო. მეცნიერება გარკვეულ მატერიალურ ბაზას, დროს, შრომა-გარჯას მოითხოვს, რაც მხოლოდ ენთუზიაზმით არ მიიღწევა. მათ ლაბორატორიები, შესაბამისი ტექნიკით უზრუნველყოფა სჭირდებათ, რომლის შეძენის გარეშეც, ეს დარგები ვერ განვითარდება. ამიტომ მთელი რიგი პრობლემები იჩენს თავს, რაც მატერიალური ბაზით უზრუნველყოფას უკავშირდება და მხოლოდ სურვილი, ენთუზიაზმი არ კმარა.

ახალგაზრდას სტიმული რომ ჰქონდეს, მან უნდა განსაზღვროს, როგორი მომავალი სურს, ხვალ-ზეგ რა უნდა გააკეთოს. მხოლოდ პატრიოტული მოწოდებებით, რომ ჩვენც გვინდა, აქ მეცნიერების დარგები ისეთივე განვითარებული იყოს, როგორც ევროპასა და ამერიკაშია, შედეგს ვერ მივაღწევთ. გარდა ამისა, ყველაფერი მატერიალურად უზრუნველყოფილი, მოწესრიგებული რომც იყოს, სათანადო მიზნის მისაღწევად დროა საჭირო. 30-წლიანი წყვეტის შემდეგ, რასაც სამეცნიერო სფეროში ადგილი ჰქონდა, მის აღდგენას, ვითარების გამოსწორებას ერთი ამდენი — 30 წელი კიდევ დასჭირდება. შეუძლებელია, შედეგი ერთ-ორ წელიწადში მივიღოთ და მეცნიერება განვითარების მაღალ საფეხურზე უეცრად ავიდეს. ამ სფეროში შეიძლება სწრაფი უკუსვლა მოხდეს, მაგრამ სწრაფად არსებული ხარვეზის, მძიმე მდგომარეობის გამოსწორება, შეუძლებელია. ზოგიერთს, ვინც პროცესს გარედან აკვირდება, მიაჩნია, რომ ჩვენთან მეცნიერებაში პროგრესი არ არის და ამიტომ მასზე ზედმეტი ზრუნვა, ფიქრი საჭირო არ არის. ასეთი მიდგომით ვერც განათლების სისტემა განვითარდება და ვერც სამეცნიერო აზროვნება და დარგები.

— ბატონო სოსო, რამდენად პრობლემატურია არაკვალიფიციური კადრების საკითხი, რაზეც ყურადღება პრემიერმა გაამახვილა.

— დიახ, სამწუხაროდ, ეს პრობლემა დგას, მაგრამ ამის მიზეზი, ისევ განათლების კანონში უნდა ვეძებოთ. მაგალითად, სააკაშვილის ხელისუფლების მიერ მიღებული განათლების კანონის თანახმად, პროფესორებს უფლება არ გვაქვს, სტუდენტს დავაძალოთ სემინარი ჩაგვაბაროს, ან ვაიძულოთ, რომ ლექციებზე იაროს. პროფესორ-მასწავლებლებს არც სიის წაკითხვა გვევალება, გამოცდას კომპიუტერი იბარებს, სტუდენტს ლექტორი აღარ სჭირდება. ამ შემთხვევაში, როცა იგი ვალდებული არ არის, ლექციას დაესწროს, სემინარი ჩაგაბაროს, ხოლო გამოცდას კომპიუტერს აბარებს, პროფესორის დანიშნულება რა არის?! სტუდენტი ვის წინაშეა ვალდებული?! შედეგად ვიღებთ იმას, რომ სტუდენტები ლექციაზე აღარ დადიან.

— პრემიერმა აღნიშნა, რომ ბაზარზე მოთხოვნილი კადრების დასაკმაყოფილებლად ოთხი ათასი სტუდენტიც საკმარისია. საგანმანათლებლო პროგრამების უნივერსიტეტების მიხედვით გადანაწილება რა შედეგს მოიტანს?

— დღეს, როცა ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებელს ამთავრებს, ხელისუფლება ვალდებული არაა, მას სამსახური მოუძებნოს. ამიტომ სტუდენტთა კონტინგენტის შეზღუდვა საზოგადოების მოთხოვნებს არ უკავშირდება. ბევრმა სტუდენტმა შეიძლება ისწავლოს. მაგალითად, ჩვენგან წასული სტუდენტი სწავლას გერმანიაში, ან აშშ-ში რომ ამთავრებს, იქაური მთავრობა ხომ არ არის ვალდებული, განსაზღვროს, მან სად იმუშაოს?!

არჩევანი თავად სტუდენტმა უნდა გააკეთოს. პროფესიული, კვალიფიციური ცოდნის მიცემა სხვაა, ხოლო ამ ცოდნას როგორ მოიხმარს, ჩვენი საქმე არაა, საკუთარი მომავალი თავად უნდა განსაზღვროს. ჩვენ ვალდებულნი ვართ, სტუდენტს ცოდნა მივცეთ, ოღონდ ამისთვის სათანადო პირობები უნდა არსებობდეს. სწავლის პროცესი მძიმეა, ასე რომ არ იყოს, მაშინ ყველა ისწავლიდა და პროფესიონალი დადგებოდა.

— პატრიარქი ილია II სწორედ ამაზე წუხდა, განათლების დონე დაეცა, რადგან წიგნის წაკითხვა აღარავის უნდა, ის კომპიუტერმა ჩაანაცვლაო.

— ამ თაობის წიგნისკენ შემობრუნება რთულია, რადგან ახალი ტექნოლოგიური პროცესები წინ მიიწევს. ჩემი სტუდენტობის დროს, ტელევიზორი რომ გაჩნდა, ბევრი ამბობდა, წიგნს აღარავინ წაიკითხავსო. ახლა, წიგნი მობილურმა, კომპიუტერმა ჩაანაცვლა. ყველა დროს თან გარკვეული პრობლემები ახლავს. ჩვენ ამის მოგვარებას უნდა ვეცადოთ, რაც ადვილი ნამდვილად არაა. სტუდენტობის დროს ჯგუფხელი ვიყავი, ჟურნალი დამქონდა, ლექტორი სიას კითხულობდა და ხელს აწერდა. ჯგუფში ოცდაათი სტუდენტი ვიყავით. ლექციას ოთხი მათგანიც რომ არ დასწრებოდა, განგაში ცხადდებოდა. ახლა ოცდაათიდან სამი-ოთხი თუ მოვა, გვიხარია.

ლექტორს სთხოვენ, ქულა იმასაც დაუწეროს, ვინც ლექციებს არ ესწრება. პროფესორ-მასწავლებლებს ხელფასი, ძირითადად, სტუდენტების მიერ შემოტანილი სწავლის საფასურიდან გვეძლევა. გამოდის, უმაღლეს სასწავლებლებს სტუდენტი უფრო სჭირდებათ, ვიდრე ლექტორი. შედეგად, ქულას თუ არ დაუწერ, მას გარიცხავენ და ფულს ვერ შემოიტანს. აი, ასეთი დილემის წინაშე ვართ. კონტროლი მხოლოდ ფორმალურად ხდება. დეკანატის წარმომადგენელი ჩამოივლის და ამოწმებს, არის თუ არა ლექტორი ლექციაზე. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ლექტორი კონტროლდება და არა სტუდენტი. მთავარია, ლექტორი იყოს აუდიტორიაში, სტუდენტი იქნება თუ არა, ამას მნიშვნელობა არ ენიჭება. არადა, მხოლოდ ჩემი კონტროლი რას შველის, სტუდენტმა თუ არ ისწავლა. კი ბატონო, მე ვზივარ აუდიტორიაში, მაგრამ შედეგი რა არის?!

— ბატონო სოსო, ხუთწლიანი სწავლებიდან სამწლიანზე გადასვლაზე რას გვეტყვით. ეს რა ეფექტის მომტანი იქნება?

— ახლა შუალედური გამოცდები ტარდება, მაგრამ საქმე ის არის, რომ ნაწერებს, ჯერ ერთი, კომპიუტერი ასწორებს და მეორეც — სტუდენტები პასუხებს მობილური ტელეფონებიდან იწერენ. კი ბატონო, ფორმალურად ყველაფერი კარგადაა შედგენილი, მაგრამ არ სრულდება.

დიახ, აქამდე ხუთწლიანი სწავლება იყო, ახლა სამწლიანზე გადადის, ხოლო მაგისტრატურაზე და დოქტურანტურაზე სწავლა ერთწლიანი იქნება. ადრე ასპირანტურა სამწლიანი იყო, ბაკალავრიატი, როგორც მოგახსენეთ — ხუთწლიანი. მაშინ კონტინგენტი შეზღუდული იყო, დისერტაციის დაცვა ორსაფეხურიანი და ურთულესი პროცესი იყო. ახლა დისერტაცია სამეცნიერო ნაშრომის დაწერას არ გულისხმობს. მას არა სამეცნიერო, არამედ აკადემიური ხარისხი ჰქვია, თან ერთსაფეხურიანია. აკადემიური ხარისხი ნიშნავს, რომ ამ საკითხის გარშემო არსებულ ლიტერატურას გაეცანი, მაგრამ კვლევა, სიახლის შემოტანა არ გევალება, არამედ მხოლოდ იმის წაკითხვა, რაც არსებობს. დღევანდელი აკადემიური სადოქტოროს დაცვა, დაახლოებით, ჩვენი დროის სადიპლომო ნაშრომის დაცვის ტოლფასიც არ არის.

ეს მთელი ჯაჭვია, რითაც ე. წ. ბოლონიის პროცესს ვუკავშირდებით, რომელსაც ჩვენი თაობა ებრძოდა და რის გამოც უნივერსიტეტიდან გამოგვყარეს. ბოლონიის პროცესთან მიერთება ნიშნავს, რომ ჩვენ სამეცნიერო კადრები არ უნდა გვყავდეს. დასავლეთი გვეუბნება, სამეცნიერო კადრები ჩვენ გვყავს, მეცნიერებას ვქმნით, თქვენ კი ჩვენი შექმნილი სამეცნიერო ნაშრომები აითვისეთ, ხოლო საქართველოში, ამ კუთხით, ნიჭიერი ადამიანი თუ გამოჩნდება, მას ჩვენ წავიყვანთ და ამ სისტემაში ჩავაბამთო. აი, ასეთია მათი ჩვენდამი დამოკიდებულება. ასე მეცნიერება როგორ განვითარდება?!

თამარ შველიძე

ყველა ეკონომიკური დიალოგი ფასიდან იწყება!

ხელისუფლებას ფასებთან ბრძოლის მხოლოდ ერთი გზა აქვს – განავითაროს ადგილობრივი წარმოება

ფასების შემსწავლელმა საპარლამენტო კომისიამ მუშაობა დაასრულა. შექმნისას და შემდგომაც, ამ კომისიის მიმართ დამოკიდებულება პოლარიზებულია - ზოგს სასიკეთო მოლოდინი ჰქონდა, ზოგი კი ამ კომისიის შექმნას იმთავითვე უარყოფითად შეხვდა. რამდენად განხორციელდა ის იდეა, რისთვისაც ეს კომისია შეიქმნა, რა შედეგი დაიდო, რა გამოიკვეთა აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, რა განაპირობებს მაღალ ფასებს და როგორ აისახება კომისიის მუშაობა ფასების შემცირებაზე?

ჩვენს ამ და სხვა შეკითხვებს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲞᲐᲡᲥᲣᲐ პასუხობს:

თქვენი შეკითხვა მრავლისმომცველია და ამ თემაზე, ფაქტობრივად, ყველაზე საინტერესოცაა. გასაკვირი არ არის, რომ დაპირისპირებებითა და სიძულვილით ისედაც გადავსებულ სოციუმში სამომხმარებლო პროდუქციის გაძვირება უკიდურეს დაძაბულობას ქმნის. მართლაც, დროის მცირე მონაკვეთში სასურსათო პროდუქციაზე, ენერგომატარებლებზე, მედიკამენტებსა თუ მომსახურების ნებისმიერ სახეობაზე ფასები მკვეთრად გაიზარდა. ცხადია, ამას შესაბამისი რეაქცია მოჰყვა - მოსახლეობა უკმაყოფილებას სიტყვიერად გამოხატავს; ხელისუფლება ავლენს ყურადღებას პრობლემისადმი და საპარლამენტო კომისიას ქმნის; ოპოზიცია და ჩასაფრებული მოქალიკეები შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებენ; ანალიტიკოსები ათას ჭორსა და მართალს ერთმანეთში აზავებენ, მაგრამ ამ დრამატულ მდგომარეობაში, გაძვირებული ფასებითაც კი, ყველაფერი იყიდება: მარკეტები სურსათისგან იცლება, ტანსაცმელი ბაზრობებსა თუ ბუტიკებში დიდხანს არ რჩება (შიშველი არავინ დადის. თუ დადის, მოდის გამო, სიშიშვლესა და დაფლეთილ მოსასხამში იმდენს იხდიან, ათეულობით მართლა შიშველს შემოსავდა); მედიკამენტებზე რიგებია; ტრანსპორტი მოძრაობს, რესტორნებს სტუმარი არ აკლია; ქორწილებიც იმართება; მიცვალებული იმარხება... **იცით, ეს რას ნიშნავს? — ამის შესაძლებლობა არის, თორემ ბუნტი იქნებოდა, ნამდვილი ბუნტი.**

სამომხმარებლო პროდუქციისა და მომსახურების ტარიფების გაძვირება მაშინ არის საგანგაშო, როცა შემოსავალი ცოტაა, ფასები კი იზრდება. **აქსიომაა: ჯიბიდან იმაზე მეტს ვერ ამოიღებ, რაც შიგნით არაა; ურემს ტვირთის სიმძიმე და საპოხის არქონა აჭრიჭინებს; მომხმარებლის შესაძლებლობა ბევრად მეტია, ვიდრე მათ მიერ შეძენილი ფასეულობათა ერთობლიობა.** სავსებით გასაგებია, რომ ეს, შესაძლოა, საშუალო მაჩვენებელია, სულ სხვაა მედიანური შემოსავალი, ყიდულობენ ისინი, ვისაც აქვს... მაგრამ ეს არის ნამდვილი ფაქტობრივი სურათი:

დღეს ფასი ბაზარზე ყალიბდება და მისი დამდგენი სხვა არავინაა. სოციალისტური საზოგადოება ამ პრობლემას სხვანაირად აგვარებდა, ჩვენ ასეთ მოგვარებაზე უარი ვთქვით, და აღმოვჩნდით **კვაზი საზოგადოებრივ ფორმაციაში, სადაც სახელმწიფოს ფასების რეგულირება არ შეუძლია, ბაზარი კი ამ პრობლემას და საზოგადოების სამართლიანი კეთილდღეობის უზრუნველყოფას ვერ წყვეტს - ესაა ამ წყობილების ყველაზე დიდი გაურკვევლობა, შექსპირისეული ყოფნა-არყოფნა. სად მთავრდება თავისუფალი ბაზრის შესაძლებლობა, სად იწყება სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, მსოფლიოში ყველა ეკონომიკური დისკუსიის მთავარი თემა და ფილოსოფიური გააზრების საკინძეა.**

თავისუფალი ბაზარი: ქმნის კონკურენციას; ზრდის ინოვაციას; აჩქარებს ტექნოლოგიურ პროგრესს; ამაღლებს ეფექტიანობას; ქმნის კაპიტალს და ეკონომიკურ დინამიკას. მაგრამ ბაზარი, პირველ რიგში, მოგებაზე მუშაობს და სულაც არ ადარდებს სამართლიანობა. ბაზრისთვის: პროდუქტი არის საქონელი; მომხმარებელი - მყიდველი; ფასი - მოგების ფუნქცია. ბაზარი არ ფიქრობს: ვინ არის ღარიბი; ვის არ ჰყოფნის წამლის ფული; ვის შია; ან ვინ ვერ იხდის კომუნალურ გადასახადს. ეს თუ ვინმეს სტკივა - მოსახლეობა - მომხმარებელია; თუ ვინმემ შეიძლება ეს არეგულიროს - ეს სახელმწიფოა.

სწორედ ამიტომ გაჩნდა „სოციალური სახელმწიფოს“ იდეა, რომელიც 1922-1991 წლებში არსებობდა. დაანგრიეს, დაშალეს, თუმცა კერკეტი მოწინააღმდეგენიც მიხვდნენ, რომ **აბსოლუტურად თავისუფალი ბაზარი საზოგადოებრივ სამართლიანობას ვერ უზრუნველყოფს. მითი, თითქოს „ბაზარი თვითონ მოაგვარებს ყველაფერს“, დაიმსხვრა.** ფაქტობრივად, უთანასწორობა ღრმავდება; სოციალური ფენა სუსტდება; მონოპოლიური წარმონაქმნები მრავლდება; კაპიტალის კონცენტრაცია იზრდება; საზოგადოების ნაწილი უკიდურეს სიღარიბეშია. ამიტომ ამ ჩიხიდან გამოსასვლელად მსოფლიო ეძებს გამოსავალს, რომელიც სუფთა სოციალიზმისა და აბსოლუტური ლიბერალიზმის წონასწორობაშია. ამ წონასწორობას ბიზნესის ენაზე ბალანსი ჰქვია.

როცა თავისუფალი ბაზარი ვერ ამყარებს წესრიგს, სახელმწიფო უნდა ჩაერიოს და უზრუნველყოს: სამართლიანი კონკურენცია; ანტიმონოპოლიური კონტროლი; მომხმარებლების დაცვა; გამჭვირვალობა. სახელმწიფომ ხელი უნდა შუწყოს ქვეყანაში განათლების, სტრატეგიული დარგების წარმოების, ენერგეტიკის, სურსათის უვნებლობის, ფარმაციისა და ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას.

ყველას უნდა ესმოდეს, რომ **ბიზნესი მოგების მიღებაზე დგას - ესაა მისი მთავარი ამოცანა და არა მოსახლეობის მუდამ მზარდი მატერიალურ-ტექნიკური პირობებისა და კეთილდღეობის დაკმაყოფილება.** ფორმალურად ბიზნესი ვალდებული არ არის, „ქველმოქმედი“ იყოს. მისი ბუნებისთვის სოციალური პასუხისმგებლობა, მომხმარებლის წინაშე ვალდებულებები და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე ზრუნვა, თამნდევი, მაგრამ არა სიამოვნებით გასახორციელებელი დანაწესია. ამისთვის მხოლოდ მორალური მოწოდებები საკმარისი არაა და ბიზნესმაც უნდა მიიღოს სათანადო მოტივაცია.

თავისუფალი ბაზრის პირობებში პატარა ქვეყანა, ისეთი, როგორიც ჩვენია, გარე მოთამაშეებზე ძლიერ დამოკიდებული ხდება. ამიტომაც საკუთარი ეკონომიკური ინტერესების დაცვისთვის ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა, გონივრული პროტექციონიზმი და ინდუსტრიული პოლიტიკა აუცილებელი ხდება, რაც მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია. მაგრამ ეს ჩარევა საბჭოურისგან შორს უნდა იყოს და არც სრულ ეკონომიკურ პასიურობას სჯერდებოდეს. ასეთ კომბინაციაში, ყველაზე წარმატებულია ისეთი დაბალანსებული აქტიურობა, როცა ბაზარი მუშაობს, ბიზნესი მოგებას იღებს და სახელმწიფო საზოგადოებრივ ინტერესებს იცავს.

სწორედ ამ ბალანსის - სახელმწიფოსა და ბაზარს, მოგებასა და სოციალურ პასუხისმგებლობას, თავისუფლებასა და რეგულაციას, მომხმარებლის ინტერესებისა და ბიზნესის მოტივაციას შორის - დაცვაა ყველაზე რეალისტური და ყველაზე რთული. ამ ყველაფრის ცენტრში დგას **ფასი,** რაც მხოლოდ ციფრში გამოხატული განზომილება როდია. **ფასი** - ეს არის ეკონომიკური სიგნალი; სოციალური მაჩვენებელი; პოლიტიკური ფაქტორი; ფსიქოლოგიური ინდიკატორი და ხშირად - საზოგადოების განწყობის საზომიც, რამდენადაც ის ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებს მწარმოებელს, მომხმარებელს, სახელმწიფოს, ბაზარს, შრომას, კაპიტალს და მთელ ეკონომიკურ სისტემას. ფაქტობრივად, ფასი არის დიალოგი ეკონომიკაში. როცა ფასი იზრდება, ეს მხოლოდ პურის გაძვირება არაა. მასში ერთდროულად და ნათლად ჩანს: ხორბლის საერთაშორისო ფასი; საწვავის ღირებულება; ლარის კურსი; ტრანსპორტი; ენერგია, ხელფასები, მოგების მოლოდინი; პოლიტიკური რისკიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ინტრიგა, საბოტაჟი, ბიზნეს-

მენის მოკლე ჭკუა და, თუ გნებავთ, მისი შორსმჭვრეტელობაც.

ფასი ზუსტად ასახავს მთელი ეკონომიკის მდგომარეობას. კლასიკურ ეკონომიკურ თეორიაშიც ასეა: ფასი არის მექანიზმი, რომელიც მოთხოვნასა და მიწოდებას აბალანსებს; რესურსებს ანაწილებს; წარმოებას სტიმულს და ბაზარს მიმართულებას აძლევს. თუ პროდუქტი დეფიციტურია, ფასი იზრდება. თუ მიწოდება იზრდება - ფასი მცირდება. თეორიულად ეს ლოგიკურია. მაგრამ პრაქტიკაში უფრო რთულადაა საქმე. ფასი იქცა სოციალურ პრობლემად და ის ეკონომიკურ კატეგორიას გასცდა. ფასი ასახავს ცხოვრების დონეს, სოციალურ სამართლიანობას და, ამავდროულად, ადამიანის ღირსეული არსებობის საკითხიცაა. ფასი ხშირად მხოლოდ ხარჯებით არ ყალიბდება. მასზე გავლენას ახდენს: ბაზრის სტრუქტურა; კონკურენცია; კაპიტალის კონცენტრაცია; მონოპოლიური ძალა; პოლიტიკური გარემო; გლობალური პროცესები. ამიტომ ერთი და იგივე პროდუქტი სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება სრულიად განსხვავებული ფასით იყიდებოდეს. ფასს პოლიტიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვაც გააჩნია: განსაზღვრავს ნდობასაც, მოლოდინსაც და საზოგადოების განწყობასაც. როცა ადამიანი ყოველდღე ხედავს: გაძვირებულ პურს, წამალს, საწვავს, მას უჩნდება განცდა, რომ მისი შრომა უფასურდება, სახელმწიფო სუსტია და მომავალი გაურკვეველია. სწორედ აქ ჩანს ფასის (გაუფასურების) პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ბუნება.

ფასს პარადოქსული გამოვლინებებიც ახასიათებს და სწორედ ესაა განსაკუთრებით საინტერესო. მწარმოებლისთვის მაღალი ფასი, ხშირად, მეტ მოგებას ნიშნავს, მომხმარებლისთვის კი - ცხოვრების გაძვირებას. სახელმწიფოსთვის მაღალი ფასი შეიძლება ნიშნავდეს სოციალურ უკმაყოფილებას. ბაზრისთვის სამართლიანია ის ფასი, რასაც მყიდველი იხდის. სოციალური სახელმწიფოსთვის ასეთი ფასი კრიტიკულ ზღვარს აღნიშნავს. ფაქტორთა სიმრავლის გამო, „სამართლიანი ფასის“ განსაზღვრა თითქმის, შეუძლებელია. მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში ჩნდება ბალანსის აუცილებლობა და სახელმწიფო აქტიურად ერევა მის რეგულირებაში.

მსოფლიოში მედიკამენტებზე, ენერგიაზე, პურზე, კომუნალურ გადასახადებზე, ტრანსპორტზე, ასეთი ჩარევის პრაქტიკა ხშირია. საყურადღებოა ფასის კიდევ ერთი განსაკუთრებული თვისება: ის არის ადგილი, სადაც ერთმანეთს ხვდება ეკონომიკა, პოლიტიკა, საზოგადოება, ბიზნესი და ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება. ფასი ადამიანს ყოველდღე ახსენებს: რამდენად ძლიერია ეკონომიკა; რამდენად სამართლიანია სისტემა და რამდენად აქვს მას მომავლის იმედი. ამიტომაც ვამბობ, რომ ფასზე მსჯელობა სინამდვილეში ეკონომიკის მთელ სპექტრს მოიცავს.

ასეთი შესავლის შემდეგ პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ კომისიის შექმნა პრობლემის აღიარებისთვის ნამდვილად იყო საჭირო, როგორც დიაგნოსტიკური და პოლიტიკური ზეწოლის მექანიზმი, მაგრამ ფასების შესამცირებლად ეს არასაკმარისი ინსტრუმენტია. მით უფრო, კომისიის მუშაობა არასახარბიელო დროსა და ვითარებას დაემთხვა. გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მდგომარეობა საქართველოს ირგვლივ უკიდურესად რთულია. ფაქტობრივი ფონიც მძიმე აღმოჩნდა: 2026 წლის აპრილში წლიური ინფლაცია 5,9% იყო: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები 7,5%-ით, ტრანსპორტი 10,3%-ით, ჯანდაცვა 4,9%-ით გაძვირდა. ეს განსაკუთრებით მტკივნეულია მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომლის შემოსავლის დიდი წილი სწორედ საკვებზე, წამალსა და ტრანსპორტზე იხარჯება.

ხელისუფლებამ კომისიის შექმნით მოსახლეობის პრობლემების გადაწყვეტა დაისახა მიზნად და ყურადღებაც მიიქცია. მაგრამ ამით თავისი რეპუტაცია სასწორზე დადო, რომლის ერთი პინა ათასი სახიფათო გარემოებით არის დატვირთული.

ფასების პრობლემა ერთჯერადი კომისიების შექმნით არ წყდება. ის ემორჩილება მხოლოდ კონკურენციის მუდმივ ზედამხედველობას, იმპორტიორების, დისტრიბუტორების, საცალო ქსელების ურთიერთობების გამჭვირვალობას, ადგილობრივი წარმოების გაძლიერებას, ლოგისტიკური ხარჯების შემცირებას და მედიკამენტებსა და საწვავზე ცალკე სექტორულ ანალიზს.

ჩვენ იმპორტზე ძლიერ დამოკიდებული ქვეყანა გვაქვს. ასეთ შემთხვევაში, ვერავინ, ვერაფერი, მათ შორის, პარლამენტის კომისია ფასებს ვერ დაარეგულირებს, რადგანაც პრობლემის მთავარი მიზეზი არის სწორედ იმპორტზე დამოკიდებულება, მცირე ბაზარი, სუსტი ადგილობრივი წარმოება, ლოგისტიკური ხარჯები, საბრუნავი კაპიტალის სიძვირე, საცალო ქსელების ძალაუფლება და კონკურენციის არასრულყოფილი ზედამხედველობა.

მოკლევადიანად პერსპექტივაში შეიძლება მივიღოთ რამდენიმე პროდუქტის ფასდაკლების კამპანია და „საოჯახო კალათის“ ტიპის ინიციატივა; საშუალოვადიანად - კომერციული პირობების ნაწილობრივი მოწესრიგება; მაგრამ ფასების სისტემური შემცირება

მხოლოდ ამ დასკვნით ნაკლებად მოსალოდნელია. რეალური შედეგი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ დასკვნა გადაიქცევა კონკრეტულ კანონმდებლობად, კონკურენციის სააგენტოს ძლიერ ქმედებად და ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერის პრაქტიკულ პროგრამად.

კომისიის დასკვნაც, არსებითად, ამას ამბობს: **სწრაფად მოხმარებად სამომხმარებლო საქონლის** სექტორში პირდაპირი მონოპოლიური ფასწარმოქმნა ვერ დადასტურდა, ხოლო პრობლემა უფრო სტრუქტურულ მოწყობაში, კომერციულ პირობებში, ლოგისტიკაში, საბრუნავ კაპიტალში და გარე ეკონომიკურ ფაქტორებშიაო.

კომისიამ მთავრობას აგრესიული ფასების ადმინისტრირება არ ურჩია და უპირატესობა „რბილ“, მიზნობრივ ჩარევას მიანიჭა. ეს სწორი სიფრთხილეა, რადგან **ფასების ხელოვნურად დაჭერა** ხშირად იწვევს დეფიციტს, ხარისხის გაუარესებას, ჩრდილოვან გარიგებებს ან მომწოდებლების ბაზრიდან გასვლას. მაგრამ მეორე მხრივ, თუ რეკომენდაციები მხოლოდ ზოგად ფრაზებად დარჩება - „გამჭვირვალობა“, „სტანდარტიზაცია“, „ლოგისტიკის გაუმჯობესება“ - მაშინ შედეგი პოლიტიკური ეფექტი იქნება და არა ეკონომიკური გარდატეხა.

ერთიც უნდა შევნიშნოთ, რომ ხელისუფლებას ყოველთვის აქვს ბერკეტები „ხმაურიანი ეფექტების“ გარეშე, ებრძოლოს მონოპოლიურ წარმონაქმნებს, კარტერულ გარიგებებს და ხელოვნურ გართულებებს (კონკურენციის სააგენტო, საგადასახადო სისტემა, საბაჟო პოლიტიკა, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, ფინანსური მონიტორინგი სწორედ ამისთვის არის შექმნილი). ეს ხელისუფლების ვალდებულებაცაა და ამისთვის საპარლამენტო კომისიის შექმნა საჭირო არც იყო.

როცა ხელისუფლებაში მოდის გუნდი ან ხელისუფლებაშია, მას უკვე უნდა ჰქონდეს საკითხი შესწავლილი, გააჩნდეს ხედვა და სამოქმედო გეგმა, რომ პრობლემები, მათ შორის, ყველაზე მტკივნეული - საკუთარი მოსახლეობის სოციალური უკმაყოფილება დაძლიოს. ამიტომაც ასეთი კომისიის შექმნა ბევრი ადამიანის თვალში ჰგავს არა პრობლემის გადაწყვეტას, არამედ საზოგადოებრივი უკმაყოფილების „დამშვიდების“ მცდელობას, პოლიტიკური პასუხისმგებლობის გადანაწილებას, დროის მოგებას ან ბიზნესზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

ერთი ფრიად საყურადღებო გარემოებაც არსებობს: საქართველო არის ჰატარა ბაზარი, ძლიერ იმპორტდამოკიდებული ეკონომიკა, მაღალი ლოგისტიკური რისკების მქონე ქვეყანა, ენერგო და საწვავზე დამოკიდებული, სუსტი საწარმოო ბაზის მქონე სახელმწიფო. ასეთ პირობებში ხელისუფლების ნებისმიერი მკვეთრი სიგნალი მსხვილი იმპორტიორებისა და დისტრიბუტორების მიმართ შეიძლება გადაიზარდოს არა ფასების შემცირებაში, არამედ მიწოდების შეფერხებაში, მარაგების შემცირებაში, ლოგისტიკური რისკების მატებასა ან ფასების დამატებით ზრდაშიც კი. ბიზნესის წარმოდგენა მუდმივად „მტრის როლში“ - ეს მას მხოლოდ გააღიზიანებს და ახალ პრობლემებს შექმნის.

როცა ქვეყანა იმპორტდამოკიდებულია, ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს ამ მოცემულობის შეცვლის ღონისძიებები, შექმნას ადგილობრივი პროდუქციის სიუხვე და ფასები თავისთავად დაიწევს. კომისიის შექმნა იმპორტიორებს აღიზიანებს და მათ შეუძლიათ ძალიან მარტივად, გაართულონ მდგომარეობა, მით უფრო, რომ რეგიონში რთული გეოპოლიტიკური ვითარებაა: დასავლეთში, ირანსა და ახლო აღმოსავლეთში, ფაქტობრივად, ომი მიმდინარეობს.

საქართველოს არ გააჩნია არავითარი შესაძლებლობა, რომ მსოფლიო ფასები აკონტროლოს, მას არ შეუძლია მისი გავლენისგან თავდაცვაც. ეს ყველაზე მწვავე რეალობაა. ამიტომ ხელისუფლებას ფასებთან ბრძოლის მხოლოდ ერთი გზა აქვს: განავითაროს ადგილობრივი წარმოება, მათ შორის, განახორციელოს აგროსამრეწველო პროდუქციის წარმოების გაძლიერება, ადგილობრივი გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება; ენერგოდამოუკიდებლობის ზრდა; მცირე და საშუალო მწარმოებლების ხელშეწყობა; საბაჟო და საგადასახადო სტიმულების შემუშავება ადგილობრივი წარმოებისთვის.

ყველა შესაძლო ასპექტის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ საპარლამენტო კომისიამ **დიაგნოსტიკური და პოლიტიკური ფუნქცია უთუოდ შეასრულა**. მაგრამ ის ეკონომიკურ გარდატეხას ვერ მოახდენს. მან პრობლემა კიდევ ერთხელ დააფიქსირა, თუმცა ამის იქით ისეთი ახალი მექანიზმი ან გადაწყვეტილება ვერ წარმოადგინა, რომელიც მოკლე პერიოდში ფასების რეალურ შემცირებას უზრუნველყოფს.

თამარ შველიძე

(გაგრძელება იქნება)

სოფელში გამქრალი ცხვარ-ძროხა, ანუ რატომ ძვირდება ხორცი?

საქონლის ხორცი გაძვირდაო, სააღდგომოდ 40 ლარამდეც კი აიწიაო, მერე ნელ-ნელა ისევ ჩამოიწია, მაგრამ მაინც ძვირიაო. ხელისუფლება რას აკეთებსო? ჰო, აი, კობახიძე და მისი მინისტრები რას აკეთებენო? რომ იძახის, ნახევარ კილო ხორცს 10 ლარად გაშოვნინებთო, სად უნდა გვაშოვნინოს, როცა არსად არ არიო?

გახსოვთ, რა წიოკი იყო აღდგომის დღეებში, ხომ? იმ პერიოდში ღორის ხორციც გაძვირდა და ბატკნის ხორცმა კიდევ ხომ საერთოდ რეკორდი დაამყარა, ლამის 50 ლარი გახდა. გვიყვარს ქართველებს ჩაქაფული და რა უნდა გვექნა, არ გვეჭამა? დიახ, უნდა გვეჭამა და სწორედ ამიტომაც გადააჭარბა მოთხოვნილებამ მოწოდებას, რამაც შექმნა დეფიციტი, წარმოქმნა მაღალი ფასი და ამ ყველაფერმა უარყოფითად იმოქმედა საზოგადოების ნერვულ სისტემაზე.

ვისაც მარქსის „კაპიტალი“ წაკითხული აქვს, ის იოლად მიხვდება, რასაც ვწერ. მე ახლა ცოტა ვხუმრობ, მაგრამ მხოლოდ ნახევრად. სინამდვილეში მდგომარეობა არის კატასტროფული - თუ ადრე სოფლებში თითო უბანს ორი, სამი, ოთხი და მეტი სული ნახირი ჰყავდა, ახლა ერთიც აღარ ჰყავთ. აგერ, დავდივარ სოფელში, ვათვალიერებ და ძროხას სანთლითაც ვეღარ ვპოულობ. აღარაფერს ვამბობ ცხვარსა და ღორზე. არა, ცხვარსა და ღორს ჯერ კიდევ ნახავთ სოფლებში, უფრო ცხვარს, უმეტესად აზერბაიჯანელები რომ გაატარებენ ხოლმე აპრილ-მაისში ზაფხულის საძოვრებისკენ, ხოლო შემოდგომით - გამოატარებენ შირაქის მიმართულებით. გააყოლებენ სოფლელები თვალსა, გამოაყოლებენ, რა ხეირი? - არც არაფერი.

მახსოვს, სოციალიზმის პერიოდში თითო სოფელში (კახეთს ვგულისხმობ) 25-30 ათას სულამდე ცხვარი, 15-20 ათასამდე ძროხა და ამდენივე ღორი იყო. თითო სოფელში-მეთქი. მაგალითად, სიღნაღის რაიონში 15 სოფელია, ეს ყველაფერი უნდა გავამრავლოთ 15-ზე. ისე, რაღა დაგიმალოთ და, მეცხვარეობასა და მეძროხეობაში ქართველი მწყემსები მაშინაც დეფიციტი იყო, მხოლოდ ბრიგადირები იყვნენ ქართველები, დანარჩენს ეთნიკურად აზერბაიჯანელები აკეთებდნენ. ისინი ძირითადად, სოფელ ყარაჯალიდან (თელავის რაიონი) ჩამოჰყავდათ.

ამას წინებზე მესაქონლე გლეხებს ვკითხე: როგორ მოხდა, რომ საქართველოს სოფლებში 1990-იან წლებში, იმ გაჭირვებულ პერიოდში, როცა ირგვლივ ყაჩაღები დათარეშობდნენ, საწვავი არ იყო, პოლიცია თითქმის არ არსებობდა, უკიდურესი გაჭირვება იყო, უფრო მეტი საქონელი იყო, ვიდრე ახლა? მახსოვს, მარტო ჩემს უბანში, სადაც დავიბადე და გავიზარდე, სამი-ოთხი სული ნახირი დაუდიოდათ საძოვარზე.

პასუხი ასეთი მივიღე: მაშინ საძოვრები გვქონდა, მინდვრები დაუმუშავებელი იყო და კერძო ნაკვეთებსაც კი არავინ ამუშავებდა, ახლა ერთი მტკაველი აღარ დარჩა, თითოეულ გოჯს პატრონი ჰყავს და რაღაცას აკეთებს.

ხედავთ, სადამდე მივედით? მიწას პატრონი გამოუჩნდა, ყველა რაღაცას აკეთებს, მაგრამ საძოვრები აღარ გვაქვს. ნახეთ, ერთი მხრივ კარგია, რომ მიწები მუშავდება, მეორე მხრივ კი ცუდია, რომ საქონელა გასადევარი აღარ აქვს (ასე ეძახიან კახეთში საძოვარს - გასადევარიო). შემოდგომაზე, როცა რთველი მთავრდება, ვისაც ჯერ კიდევ ჰყავს შემორჩენილი ცხვარ-ძროხა, ვენახებში უშვებს და არის მერე ხმალაობა კომბლებით. ბუნებრივია, ვენახს შესეული საქონელი მხოლოდ ფოთოლს კი არ ჭამს, ვაზსაც აფუჭებს.

სპეციალისტების თქმით, საქართველოში საქონლისა და ცხვრის ხორცის გაძვირება პირდაპირ კავშირშია ადგილობრივ დეფიციტთან, რომელიც გამოწვეულია ცოცხალი პირუტყვის (განსაკუთრებით ხბოების) ექსპორტით, იმპორტის შეფერხებით, რესურსების სიძვირით და წარმოების მაღალი ხარჯებით. მაგალითად, მეზობელ რუსეთში დაფიქსირებული ცხოველთა დაავადებების გამო, ხშირად ფერხდება ან იზღუდება ცოცხალი პირუტყვისა და ხორცის იმპორტი, რაც პირდაპირ აისახება ქართულ ბაზარზე. საქართველოში წარმოებული ხორცის თვითღირებულება საკმაოდ მაღალია. საკვები ბაზის (კომბინირებული საკვები, მარცვლეული), ვეტერინარული მომსახურებისა და ფერმების შენახვის ხარჯების ზრდა მუდმივად აძვირებს პროდუქტს.

როგორც ფერმერები ამბობენ, საქართველოდან 160 კილოგრამამდე მოზარდი საქონლის ექსპორტი აკრძალული იყო. საკონსტიტუციო სასამართლომ ეს შეზღუდვა კანონთან შეუსაბამოდ მიიჩნია და გააუქმა. თუ შეზღუდვები არ ამოქმედდება, ხორცის ფასი კიდევ გაიზრდება. გადის აზერბაიჯანში, ირანში, ერაყში. მიუხედავად კატასტროფული სიმცირისა, საქართველოდან ყოველდღიურად მაინც გადის 1000 სული საქონელი. რატომ გადის ამდენი? რა ინტერესი აქვთ ირანელებს, ერაყელებს ან სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს? ჯერ ერთი, ცხვრისა და ძროხის ხორცი მუსლიმანურ ქვეყნებში პირველადი საკვებია და მეორეც - ჩვენს გლეხებს ურჩევნიათ, მათ მიჰყიდონ უფრო ძვირად, ვიდრე ადგილზე გაყიდონ იაფად.

ფერმერი: „ადრე სოფელში 300-400 სული საქონელი გვყავდა, თუმცა ეს საქმიანობა შევწყვიტეთ, რადგან საძოვარი მიწები სრულად გაიყიდა და საქონლის შენახვა შეუძლებელი გახდა. სწორედ ამიტომ, ამ საქმიანობას თავი დავანებეთ. ახლა მხოლოდ სოფლის მეურნეობით ვართ დაკავებული, კერძოდ, პომიდვრის წარმოებით. ჩემ ძმას უცხო პირის საძოვარ ტერიტორიაზე საქონლის გაყვანის გამო სცემეს და ნეკნები ჩაუმტვრიეს. იმ ადამიანმა თქვა, რომ ეს მისი მიწაა. ასეთ სიტუაციაში რაიმეს თქმა ან გაკეთება შევძელით? ვერაფერიც ვერ შევძელით. სხვა რა გზა გვრჩება“?

სოფელს საერთო საძოვარი აღარ აქვს, სოფელს არანაირი საკუთრება არ გააჩნია, ყველანაირი კატეგორიის მიწა ირიცხება ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე. თუ სადმე თავისუფალია, ანუ არ არის კერძო საკუთრებაში, ეგრევე გადის აუქციონზე და იყიდება. შესაძლებელია თუ არა, ყველა სოფელს ჰქონდეს რაღაც გარკვეული რაოდენობის საძოვარი და ტყე? ალბათ, შესაძლებელია, მაგრამ ზოგიერთნი გვეტყვიან, რომ ეს უკვე სოციალიზმია, ბარემ კოლმეურნეობებიც დავაბრუნოთ და ეგ იქნებაო. ისე, თუ დავაბრუნებთ, ურიგო ნამდვილად არ იქნება, სოფელი ისევ აღორძინდება, მაგრამ მაგას ახალი სტალინი უნდა. კაი, დავანებოთ თავი სტალინს, ისრაელის სოფლის მეურნეობა ხომ ამ მხრივ საოცრებაა? ავიღოთ მათი მოდელი, იქ ყველა სოფელს თავისი კიბუცი, ანუ კოლმეურნეობას მიმსგავსებული საწარმო თავისი სკოლებით, საბავშვო ბაღებით და სავაჭრო ობიექტებით. კიბუცებში დანერგილია კოლექტიური შრომა დაახლოებით ისე, როგორც ჩვენთან იყო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ისრაელზე ვერავინ იტყვის, რომ საბჭოთა წარმონაქმნია და იქ კომუნიზმს აშენებენ, მაგრამ კოლექტიური შრომა ფართოდ გამოიყენება. ბოლო-ბოლო, რაც სტალინმა გააკეთა 1930-იან წლებში, ეს არ იყო უჭკუოდ გაკეთებული, ამან აახმაურა სოფელი და გაამრავლა მოსახლეობა, ყველა სოფელს გაუჩინა საკუთარი ინტერესი. ახლა კი რა გამოვიდა? ყველა სადღაც გაიქცა - ზოგი უცხოეთში, ზოგიც ქალაქში იმიტომ, რომ აქ ინტერესი აღარ არსებობს. ადრე გლეხი ბრიგადირობაზე ოცნებობდა, ბრიგადირი მთავარ აგრონომობაზე, აგრონომი კოლმეურნეობის თავმჯდომარეობაზე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე რაიკომის მდივნობაზე, თბილისი და იქ ცხოვრება ვის აინტერესებდა? ერთი ეგ იყო, თბილისში იოლად ვერ ჩაეწერებოდი, რომც დაინტერესებულიყავი, წინ ბარიერი გქონდა. ეს ნამდვილად მანკიერი კანონი იყო, მაგრამ ვისაც უნდოდა, მაგასაც ახერხებდა.

სხვათა შორის, მესაქონლეები იმასაც ამბობენ, რომ ხორცს მნიშვნელოვნად აძვირებენ გადამყიდველები, თუ ფერმერის შემდეგ კიდევ ერთი პირი ხეირობს, კიდევ არა უშავს, მაგრამ ხშირად საქმე გვაქვს მესამე და მეოთხე გამყიდველთან. თქვენ რომ მაღაზიაში ან ბაზრის დახლზე ხორცს ყიდულობთ, ის სამჯერ და ოთხჯერ არის გადაყიდული. ეს დაახლოებით იგივე მომენტია, პარლამენტში ფასების შემსწავლელი დროებითი კომისია რომ მუშაობდა და ყველა ბიზნესმენი საჯაროდ ტიროდა, ქეშბექი გვლუპავს, სანამ ჩვენი პროდუქცია თაროზე დაიდება, მანამდე გვატყავებენო. რა მნიშვნელობა აქვს, მწარმოებელს კაი გვარიან წილში დისტრიბუტორი და თვითონ მაღაზიის ადმინისტრაცია ჩაუჯდება თუ ცხრაჯერ გადამყიდველი ყასაბი? სოფელში ზოგიერთს თუთიყუშივით აქვს „ჩახვეული“, კობახიძემ რო თქვა, კილო ხორცი 10 ლარიაო, აბა, სად არიო? ჯერ ერთი, კობახიძემ ნახევარი კილო თქვა და მეორეც - აგერ არის, ბაზარში. მოდი, ისიც ვთქვათ, სააღდგომოდ და ახალი წლის დღეებში რომ ყველაფერი ძვირდება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგივე ფასები მთელი წლის განმავლობაში შენარჩუნდება. მაგალითად, ამჟამად შედარებით გაიაფებულია. თუმცა, თუ მდგომარეობას კარგად გავაანალიზებთ, თუ მესაქონლეობას და არა მხოლოდ მესაქონლეობას არ მიეხედა, ნელ-ნელა ისევ გაძვირებას უნდა ველოდოთ. იზრდება მოთხოვნა? არ არის მოწოდება? არ არის წარმოება და რასაკვირველია, გაძვირდება, თუ რუსეთიდან, ინდოეთიდან, ან უკრაინიდან არ შემოვიტანთ და ისედაც გაზრდილ იმპორტს არ გავზრდით. თუ ჩვენ არ ვაწარმოებთ, სხვა მოგვამარაგებს გარედან და ის იხეირებს. ისიც საკითხავია, რით მოგვამარაგებენ, ხარისხიანი პროდუქციით თუ ნაგავით.

გელა ზედელაშვილი

ტაქსი გამოძახებით

ამ თემაზე ცოტა ადრე უნდა დამეწერა, მაგრამ ვერ მოვიცალე. არადა, საშური საქმეა, მეტად სავალალო და პრობლემური. ალბათ, ყველა ატყობთ, ბოლო დროს საქართველოში და, მით უფრო, თბილისში ძალიან გაიზარდა ტაქსების რაოდენობა. ხან მგონია, რომ ყველა ტაქსაობს - უცხოეთიდან ჩამოსული, რეგიონიდან ჩამოსული, ადგილობრივი, მოხუცი, ახალგაზრდა თუ საშუალო ასაკის. მე პირადად, დაახლოებით ორი წელიწადი იქნება, თბილისში საკუთარი მანქანით თითქმის ვეღარ ვსარგებლობ. თუ ცენტრალურ რაიონებში მაქვს საქმე, მირჩევნია, ტაქსით წავიდე. ჯერ ერთი, საცობებში იმდენ ხანს უნდა ვიდგე და იმდენი ბენზინი ვხარჯო, ტაქსის საფასურზე მეტი მიჯდება და მეორეც - ადგილზე რომ მივალ, ვერსად ვაჩერებ, თუ სადმე მაინც გავჩერდები, ერთი-ორჯერ მაინც უნდა დავჯარიმდე და ესეც შენი 100 ლარი. არ არის გამორიცხული, სანამ ადგილზე მივალ, იძულებით რომელიმე აკრძალული ხაზი გადავკვეთო და იქაც ჯარიმა ამაკრანა. კი, ბატონო, ამ შემთხვევაში ან მეტროთი უნდა ვისარგებლო, ან ავტობუსით, ან „მარშრუტკით“, ან კიდევ ტაქსით.

ბოლო დროს გადავწყვიტე, ტაქსით მესარგებლა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მძღოლების ნაწილი ნამდვილად ვერ არის თავის „მატორზე“. არ გეგონოთ, ყველა ტაქსისტით უკმაყოფილო ვიყო, არა, რასაკვირველია, ნორმალურებიც არიან, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ გაგიმართლებს. ეს ისეთი საქმე ყოფილა, ლატარიაში რომ ხდება ხოლმე - ან კმაყოფილი გადმოხვალ მანქანიდან, ან ნერვებდაგლეჯილი. მხოლოდ ნერვების დაგლეჯვაზე რომ იყოს, რა უჭირდა? ზოგი ისეთია, თუ თავისი ჭკუისა ჩაუჯდა, შეიძლება გაიფინოს კიდევაც წიხლქვეშ. მოკლედ, ჩაჯდები თუ არა ტაქსიში, ხშირად ეგრევე იწყება თავდავიწყება - შარი, კამათი, პოლიტიკური დისკუსია და უაზრო გარჩევა.

გავარვარებული აკაცუკი „ბოლტის“ ტაქსით

გამოძახებულ ტაქსიში რომ ჩავჯექი, თავიდან თვალებს არ დავუჯერე - ტიპს პირდაპირ უწერია: „ქოცი ანუ ფსკერი! ოლე-ოლა“.

ხეირიანად ფეხის შედგმა არ მაცალა მანქანაში, ეგრევე დაიწყო თბილისის მერიის თანამშრომლების ლანძღვა - მანდ სუ „ჭ“ კლასის სოფლელები მუშაობენო. არა, კი არ მუშაობენ, ყრიანო. კლიენტის ლოკაციასაც კი არ მიჩვენებენ წესიერადო. მე არ ვიცი, ამ დარტყმულის ლოკაცია-აპლიკაციასთან მერიას რა ხელი აქვს?

ვუთხარი, ფითილს დაუწიე, მსჯელობა გაასწორე-მეთქი!

გაასწორა კი არა, ახლა კალაძეზე გადავიდა - „ჭ“ კლასის სოფლელი დედაქალაქის მერი არ უნდა იყოსო.

ვინ არი, ბიჭო, „ჭ“ კლასის სოფლელი, კალაძე-მეთქი?

კიო, სოფლელიაო!

ჯერ ერთი, სოფლელობა რა საძრახისია და მეორეც - კალაძე რომ ევროპაში თამაშობდა, შენ მაშინ ალბათ, ერთ ადგილს იფხანდი-მეთქი.

მე ბელგიაში ტაქსზე ვმუშაობდიო... კალაძე რუსია, ევროპაში რა უნდოდაო? როდის იყო-ვო?

ტიპი თანდათან უფრო გააგრესიულდა, ნელ-ნელა ზღვარს გადავიდა. ვურჩიე, ეს წარწერა აიღე, თორემ ყველა ჩემნაირი არ შეგხვდება, ვიღაცა თავ-ყბას გაგიხევს-მეთქი.

დაფიქრდა - მართალი ხარ, ხო იციო.

ჰოდა, აიღე-მეთქი. მაინც არ აიღო, პირიქით, ახლა ბიძინა ივანიშვილისა და მისი შვილების ლანძღვაზე გადავიდა.

ეგრე რამ გაგაბოროტა-მეთქი?

სიმართლე მიყვარსო!

შენ ვერ ხარ შენ მატორზე, გეუბნები, გაგძუყნიან-მეთქი!

დამიწყო გარჩევა - „ჭ“ კლასის ადამიანები ხელისუფლებაში არ უნდა იყვნენო.

არადა, აშკარად ეტყობა, ტიპი „ჭ“ კლასისაც არ არი, პირწავარდნილი „ყ“ კლასია!

ერთხანობას ისიც ვიფიქრე, ჩამოვიღებ, ჩავწიხლავ-მეთქი. მერე ვთქვი, შეიძლება მოგზავნილი პროვოკატორია-მეთქი. სიტყვით ყველაფერი ვუთხარი, ვურჩიე კიდევაც, დავარიგე კიდევაც - შენ ტაქსისტი ხარ, ყველას ზრდილობიანად უნდა მოემსახურო, „ნაცი“ და „ქოცი“ არ უნდა გაინტერესებდეს, ფაქტობრივად, ექიმივით ხარ-მეთქი. ვერ გაიგო, ისევ „ჭ“ კლასი ჩაიხვია „ყ“ კლასისამ.

ისიც ვუთხარი - ამით ახლა შეურაცხყოფას მაყენებ, სრული უფლება მაქვს, პასუხი დაგიბრუნო-მეთქი. მაინც ვერ გაიგო, სრული ბაიყუშია.

სადაური ხარ-მეთქი?

კახელი ვარო, კაჭრეთიდანო.

გვარი და სახელიც ვკითხე, არ დაუმალავს, ირაკლი ვარ შავლიაშვილიო, აქეთ იბრიქება, არ მეშინიაო.

რომ არ გეშინია და ამდენს ბედავ, იცოდე, ეგ ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა-მეთქი.

ეგ რა შუაშიაო?

იმ შუაშია, რომ მიშას დროს ასეთი რაღაცისთვის სკალპს აგაძრობდნენ-მეთქი.

ვერ გაიგო, სკალპი რა არი.

გავარვარებული აკაცუკი „იანდექსის“ ტაქსით

ამ დღეებში რუსი ტურისტის მიერ გადაღებული ვიდეო გავრცელდა სოციალურ ქსელებში, ქართველი ტაქსისტი აგინებს უკანასკნელი სიტყვებით. ქალს აგინებს, რუსს, რომელმაც გამოიძახა. „ბოლტი“ თუ ესტონური კომპანიაა და მისი დარტყმული მძღოლი „ქოცებს“ და მისი აზროვნებიდან გამომდინარე, რუსებსაც, „იანდექსი“ ხომ რუსული კომპანიაა, მისმა მძროლმა რატომ უნდა აგინოს რუსებს? აკი ეუბნება კიდეც ტურისტი, შენ რუსული კომპანიის ტაქსიზე მუშაობ, რატომ მაგინებო? იცით, რას ეუბნება მძღოლი, რომელიც სავარაუდოდ, გახეთქილი მთვრალია? აბა, რა ვქნა, შენი დედაც, რუსების დედაც, რუსეთის დედაც, სადმე ხომ უნდა ვიმუშაო? ქალი რამდენიმეჯერ ეუბნება, შენ რუსულ ტაქსიზე მუშაობ, რუსეთს რატომ აგინებო? ის ეუბნება - წადი, შენიც და რუსეთისაცო. მე აქ ერთი ბობოლა აკაცუკი მახსენდება, კობა ნაყოფია, რომელსაც რუსეთში ბიზნესებიც აქვს, ბინებიც, ჯიბეში რუსეთის პასპორტი უდევს და აქეთ გვეძახის, თქვე რუსეთუმეებოო. ბოლო დროს აღარ ჩანს, ერთი თუ ორი წლის წინათ „ნაცებმა“ პარტიიდან გაუშვეს და ისევ რუსეთში გადაიხვეწა. ვიდეოზე, რომელიც მე ვნახე, აშკარად ჩანს, რომ „შოფერი“ ან კაიფშია, ან მთვრალია, ან ფსიქიკურად შეშლილია.

ჩემი ღრმა რწმენით, ტაქსის მძღოლი უნდა იყოს სრულიად ნეიტრალური, ყოველ შემთხვევაში, საკუთარ მდარე პოლიტიკურ აზრებს არ უნდა აფრქვევდეს და მით უფრო, უკანასკნელი სიტყვებით არ უნდა ილანძღებოდეს. მე პირადად შემხვდა ისეთი ტაქსისტიც, რომელსაც 30 წელიწადი უკრაინაში უცხოვრია, ომის დაწყებისთანავე საქართველოში დაბრუნებულა და ჩაუჯდება თუ არა კლიენტი, ეგრევე იწყებს ზელენსკის ლანძღვას. კი, ბატონო, შეიძლება სიმართლეს ამბობს, მაგრამ ვინაიდან ჩვენში „სლავა-უკრაინელები“ საკმაოდ არიან, ომს რომ თბილისიდან იგებენ და რუსეთსაც შლიან, მაინც შარია, რისკზე წასვლაა.

როგორ ხდება კომპანიებში დარეგისტრირება? ძალიან მარტივად: სმარტფონში ჩამოტვირთავთ და დააყენებთ აპლიკაციას, შეავსებთ განაცხადს, თუ საკუთარი მანქანა გყავთ, მიუთითებთ, თუ არ გყავთ, ამასაც მიუთითებთ და ტაქსოპარკიდან გამოგიყოფენ. აპლიკაციაში შეძლებთ შეკვეთების მიღებას და მათ შესრულებაზე დათანხმებას. ეგ არის და გორის ციხე. მე საგულდაგულოდ გადავიკითხე პირობები და საერთოდ ვერ ვნახე, სადმე ე. წ. „ფსიქოს“ მაინც ითხოვდნენ. მეტიც, არ ითხოვენ ნასამართლეობის ცნობას, ნებისმიერ რეციდივისტს შეუძლია, დარეგისტრირდეს და იტაქსაოს. ასევე არავინ ინტერესდება, ხარ თუ არა ნარკოტიკების მომხმარებელი, არ ითხოვენ ელემენტარულ ჯანმრთელობის ცნობას, ხომ შეიძლება, ტუბერკულიოზით ან სხვა გადამდები ინფექციით დაავადებულმა დაიწყოს მუშაობა? მეტიც, ჩვენთან პედოფილიის ბრალდებით გასამართლებულს არ აქვს უფლება, მგზავრთა გადაყვანის სფეროში დასაქმდეს, სასტიკად აკრძალულია. აი, ამ შემთხვევაში კი ამ ბრალდებით გასამართლებულიც საქმდება. გესმით, რა სახიფათო მოვლენასთან გვაქვს საქმე?

ფინალი

აკონტროლებს თუ არა ვინმე ჩვენს ქვეყანაში ტაქსებს? არავინ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოძრაობის წესებს დაარღვევს და პატრული გააჩერებს. რასაკვირველია, პატრული ტაქსისტს ვერ შეამოწმებს, შერყეულია თუ ნორმალური. ეგ კი არა, როგორც ამ საქმის ერთ-ერთი ექსპერტი მეუბნება, მსგავს უცხოურ კომპანიებს საქართველოში ლიცენზიაც არ სჭირდებათ. გაიგონეთ? საზღვარგარეთიდან შემოდის კომპანია, აარსებს ტაქსოპარკს და მას ლიცენზია არ სჭირდება.

ალბათ დამეთანხმებით, ეს სფერო ძალზე მკაცრად არის გასაკონტროლებელი. აგერ, ამას წინებზე საპატრიარქოს ეზოში მანქანა რომ შევარდა, ჭიშკარი რომ შეანგრია, ტაქსი იყო. აშკარაა, საპატრიარქოში ტაქსით რომ ადამიანი შევარდება, ის ჯანმრთელი ვერ იქნება.

სამწუხაროდ, ტაქსისტებთან დაპირისპირებამ და კამათმა ბოლო დროს მასობრივი ხასიათი მიიღო, სოციალურ ქსელებში მრავლად იწერება მსგავსი შემთხვევების შესახებ და სანამ ურემი გადაბრუნდებოდეს, ამ საკითხს მანამდე უნდა მოგვარება.

გელა ზედელაშვილი

აშშ ნატო-დან გასვლას არ გამორიცხავს

მწვავე და გაურკვეველი ვითარებაა კვლავ მსოფლიოში. სპარსეთის ყურეში, მართალია, ფართომასშტაბიანი ბრძოლები ჯერ-ჯერობით აღარ მიმდინარეობს, მაგრამ შედარებით მცირე შეტაკებები ყოველდღიურობად იქცა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ზოგიერთი პოლიტიკოსი შიშობს, რომ არსებობს რეგიონში ომის განახლების საფრთხე, რაც მსოფლიოს კარგს არაფერს მოუტანს.

აშშ-ირანს შორის სამშვიდობო შეთანხმებაზე ბევრს საუბრობენ, შუამავლების მეშვეობით მოლაპარაკებებიც მიმდინარეობს, მაგრამ შედეგი ჯერ არ ჩანს. გასულ კვირას აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თეთრ სახლში დაზვერვის თანამშრომლებთან დახურული თათბირი გამართა, სადაც ირანთან შეთანხმების პერსპექტივები განიხილეს. „ირანი უნდა დათანხმდეს და ვალდებულება აიღოს იმაზე, რომ ქვეყანას არასოდეს ექნება ბირთვული შეიარაღება, მით უფრო – ბომბები. ორმუზის სრუტეში დაუყოვნებლივ უნდა გაიხსნას და აღდგეს ნაოსნობა ორივე მიმართულებით, ყოველგვარი გადასახადების გარეშე. საზღვაო ნაღმები განადგურდება“, – დაწერა პრეზიდენტმა სოციქსელებში თათბირის დაწყებამდე. იქვე მიუთითა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას ირანთან დაკავშირებით თათბირის შემდეგ მიიღებენ.

გასულ კვირას გამოცემა „ნიუ-იორკ თაიმსი“ წერდა, რომ აშშ-ირანს შორის დაძაბულმა ვითარებამ, შესაძლოა, ჩაშალოს დიპლომატიური პროცესი ახლო აღმოსავლეთში. „ირანსა და აშშ-ს შორის დაძაბულობამ სამშაბათს საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია, რამაც, შესაძლოა, ჩაშალოს ისედაც მყიფე დიპლომატიური ძალისხმევა“, – წერია მასალაში.

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გასულ კვირას აშშ ზავის პირობების დარღვევაში დაადანაშაულა. იქვე დაამატეს, რომ თეირანი ვაშინგტონის მსგავს ქმედებებს უპასუხოდ არ დატოვებს. მოგვიანებით აშშ-ის შეიარაღებული ძალების ცენტრალურ სამეთაურო შტაბში დაადასტურეს, რომ მათ შეტევა განახორციელეს ირანის სარაკეტო დანადგარებსა და კატერებზე. სწორედ ეს გახდა ახალი დაძაბულობის მიზეზი.

გასულ კვირას ირანელებმა გაავრცელეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათ შეტევა განახორციელეს აშშ-ის ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე. თავდაპირველად არ გაჟღერებულა, რომელი ქვეყნის ტერიტორიას დაარტყეს, მაგრამ მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ შეტევა კატარში არსებულ სამხედრო ბაზაზე განხორციელდა. ირანელების განცხადებით, მათ ასე უპასუხეს აეროპორტ ბენდერ-აბასზე განხორციელებულ შეტევას. იქვე განაცხადეს, რომ მოწინააღმდეგისთვის ეს მხოლოდ გაფრთხილება იყო და თუ აგრესიის მცდელობას ექნება ადგილი, პასუხი გაცილებით ძლიერი იქნება.

სააგენტო „ფარსის“ ინფორმაციით, შეთანხმება აშშ-სა და ირანს შორის დამტკიცების ფინალურ სტადიაშია. პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ შეთანხმების ტექსტი უკვე მომზადებულია, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ. სააგენტოს მონაცემებით, შეთანხმების საკვანძო საკითხად დასახელებულია დაყადაღებული ირანული აქტივების (12 მლნ ამერიკული დოლარი) განბლოკვა. მასალაში ნათქვამია, რომ ვიდრე აღნიშნულ თანხას არ აუნაზღაურებენ, თეირანი მოლაპარაკებების შემდგომ ეტაპზე არ წავა. ირანელები, ასევე, ლიბანში ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას მოითხოვენ. მხოლოდ ამ პირობების შესრულების შემდეგ განიხილავს ირანი ბირთვული პროგრამის საკითხს.

„საბოლოო შეთანხმების მიღწევა აშშ-სა და ირანს შორის ვაშინგტონის პოზიციაზეა დამოკიდებული“, – განაცხადა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბას არაქჩიმ ომანელ კოლეგასთან, ბადრ ალბუსაიდისთან სატელეფონო საუბრის შემდეგ.

ტრამპის განცხადებით, საკვანძო საკითხებზე – ბირთვულ პროგრამასა და ორმუზის სრუტის გახსნაზე – გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ, მაგრამ სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვან პუნქტებზე შეთანხმება უკვე მიღწეულია. თუმცა ორი დღის წინ თეთრი სახლიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ დონალდ ტრამპმა ირანელებს ახალი მოთხოვნები წაუყენა. კონკრეტული დეტალები არ გასაჯაროებულა.

პორტალ „აქსიოსის“ ინფორმაციით, აშშ-ირანის მომლაპარაკებლებმა წამოაყენეს პროექტი 60-დღიან ზავზე და ახლა თეთრი სახლის ლიდერის გადაწყვეტილებას ელოდებიან.

ირანელების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, ისრაელმა უპირობოდ შეწყვიტოს ლიბანზე შეტევები, თუმცა თელ-ავივი ამ პირობის შესრულებას არ აპირებს. უფრო მეტიც, ისრაელი ყოველმხრივ ცდილობს, ჩაშალოს აშშ-ირანის სამშვიდობო მოლაპარაკებები. ისრაელი თითქმის ყოველდღიურად ახორციელებს ლიბანზე შეტევებს და იპყრობს ტერიტორიებს. მსოფლიო პოლიტიკური თანამეგობრობის პროტესტს ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ არაფრად მიიჩნევს.

ოფიციალური სამთავრობო ვიზიტები მსოფლიოში, მოგეხსენებათ, იშვიათობა არ არის, თუმცა გასულ კვირას რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის ყაზახეთში ვიზიტს ორმაგი დატვირთვა ჰქონდა. მასპინძლების მოთხოვნით, რუსეთის ლიდერმა სახელმწიფო ვიზიტი განახორციელა. კასიმ-ჟომარტ ტოკაევმა და პუტინმა პირდაპირი მოლაპარაკებები გამართეს, შემდგომ კი დელეგაციებმა 16 ხელშეკრულება გააფორმეს.

მთავარი მოვლენა ყაზახეთში „ევრაზიის ეკონომიკური კავშირის“ სამიტი იყო. გაერთიანების წევრები არიან რუსეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და სომხეთი. როგორც ცნობილია, სომხეთს გადაწყვეტილი აქვს ევროკავშირში გაწევრიანება, ამასთან, სურს დსთ-სა და „ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში“ დარჩენაც გარკვეულ დრომდე. თუმცა მათ ამ გადაწყვეტილებას ამ გაერთიანებების ზოგიერთი წევრი, განსაკუთრებით რუსეთი, არ ეთანხმება. რუსეთმა უკვე აკრძალა სომხეთიდან სხვადასხვა პროდუქციის შეტანა, ჩამონათვალში 30 დასახელებაა. „ევრაზიის ეკონომიკური კავშირის“ სამთავრობო სამიტზე მიიღეს ერთობლივი განცხადება, სადაც ნათქვამია: „ვიზიარებთ მოკლე დროში სომხეთში რეფერენდუმის ჩატარების იდეას, რომლის შემდეგაც გაირკვევა, ქვეყანა ევროკავშირში გაწევრიანდება თუ ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში დარჩება“. ასტანაში შეთანხმდნენ, რომ ევრაზიის სამთავრობო კავშირი სომხეთთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას დეკემბერში, რუსეთში მიიღებს.

ურთიერთობა აშშ-სა და ევროპას შორის საკმაოდ არასახარბიელოა. გერმანული ჟურნალ „შპიგელის“ ინფორმაციით, ვაშინგტონში გეგმავენ, მნიშვნელოვნად შეამცირონ ნატოში შენატანები. გამოცემის თანახმად, აშშ-ს გამიზნული აქვს, ფინანსური რესურსების გარდა, მნიშვნელოვნად შეამციროს სამხედრო რესურსები, ავიაციისა და სამხედრო გემების ჩათვლით.

„შპიგელი“ იუწყება, რომ აშშ-ის გადაწყვეტილება გაზრდის ევროპის ქვეყნების ხელმძღვანელთა პრობლემებს, რომლებიც მათ ისედაც თავზე საყრელი აქვთ. თუმცა დონალდ ტრამპმა ჯერ კიდევ 1 აპრილს განაცხადა, რომ არ გამორიცხავს ალიანსიდან აშშ-ის გასვლას. იგი განაწყენდა, როდესაც მოკავშირე ქვეყნებმა უარი უთხრეს ირანთან ომში დახმარებაზე. პენტაგონმა უკვე დაიწყო ევროპაში განთავსებული ჯარების გაყვანა-როტაციისთვის მზადება.

საგანგაშო ნიშნულს უახლოვდება გერმანიის ფინანსური მდგომარეობა. ექსპერტ-პოლიტოლოგები ქვეყნის ეკონომიკურად დასუსტებას ხელისუფლების ცუდ მუშაობას უკავშირებენ. ისინი უკვე ხმამაღლა აცხადებენ, რომ კანცლერი ფრიდრიხ მერცი არაფერს აკეთებს გერმანელი მეწარმეების მხარდასაჭერად, მთავარ პრიორიტეტად კი უკრაინის დახმარება აქცია. საერთოდაც, მერცის რეიტინგი ქვეყანაში მხოლოდ 16%-ია. ამიტომ თანაპარტიელები მის შემცვლელს ეძებენ.

მართალია, ჯერჯერობით მსოფლიოში შედარებითი სიმშვიდეა (უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამოკლებით), მაგრამ მოდუნების უფლება არავის აქვს, რადგან როდის და სად „გავარდება თოფი“, არავინ უწყის. ჩვენ მაინც შევინარჩუნოთ ოპტიმიზმი და საკუთარ ქვეყანაზე ვიფიქროთ.

გია ბურდული

ჩატოვ ვიოიჩევი ფეხს

აუცილებელი შესავალი – **დიდხანს მეც არ მესმოდა ბევრი რამ (შესაძლოა, არც ახლა მესმის), ამიტომ მუდმივად ვემდურო-დი ან ვუკიჟინებდი საქართველოს ხელისუფლებას, რომ დალაპარა-კებოდა რუსეთს, ან, ბოლო-ბოლო, ნეიტრალიტეტის შესახებ მაინც ამოეღო ხმა. სერგეი ლავ-როვიდან დაწყებული, მარია ზა-ხაროვათი დამთავრებული, სათა-ვეში პუტინით, ნართაულები, მით უმეტეს, ღიად ნათქვამი, კარგად მესმის, მაგრამ აპრილის დასაწყი-სიდან სხვანაირად დავიწყე ფიქ-რების გადაწყობა.**

აპრილის დასაწყისში ინტერ-ნეტში გავრცელდა დეკანოზ იგორ იაკიმჩუკის ვიდეოჩანაწერი, სადაც ის ამბობს, რომ 1992-93 წლების ომის დროს აფხაზებმა გააძევეს ქართველი და ბერძენი მოსახლეო-ბა, შესაბამისად, მთელი ქართველი სამღვდელოება წავიდა. სოხუმში მხოლოდ ერთი სასულიერო პირი დარჩა, ბესარიონ აპლია, რომელიც პატრიარქ ილია მეორის ნაკურ-თხია და იგი დღემდე საქართველოს საპატრიარქოს კანონიკური კლე-რიკოსია, მიუხედავად მისი ანტი-ქართული რიტორიკისა. მას ეჭვიც არ აქვს, რომ ეს აუცილებლობის ხარკია – აფხაზეთში რთულია არ-სებობა ისე, რომ საქართველო არ დაწყევლო. მისივე თქმით, რუსე-თის ეკლესია პატივს სცემს საქარ-

თველოს საპატრიარქოს კანონი-კურ საზღვრებს და პოლიტიკური საზღვრების ცვლილება არ ნიშნავს საეკლესიო საზღვრების ცვლილე-ბას. თუმცა, რადგან აფხაზები არ შეუშვებენ ქართველ მღვდლებს, მოსკოვის საპატრიარქო სხვადასხ-ვა რუსული ეპარქიის შტატგარეშე კლერიკოსებს გზავნის აფხაზეთში.

„აფხაზების ოფიციალური რი-ტორიკა ასეთია, ჩვენ დამოუკიდე-ბელი ქვეყანა ვართ და დამოუკი-დებელი ეკლესია უნდა გვქონდეს, რადგან ვითომ ოდესღაც აფხაზე-თის საკათალიკოსო არსებობდა. თუმცა ამ ტერმინში გაუგებრობაა, ვის უწოდებენ აფხაზს? აფხაზე-ბი, რომლებსაც საკათალიკოსო ჰქონდათ, არ არიან იგივე აფხა-ზები, რომლებიც დღეს აფხაზეთ-ში ცხოვრობენ. დღეს აფხაზეთში მცხოვრები აფხაზები, უფრო ზუს-ტად, ადიღეელები არიან, რომლე-ბიც გვიან დასახლდნენ, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა, რო-მელმაც IV საუკუნეში აქ ტაძრე-ბი ააშენა, სამხრეთისკენ წავიდა. აფხაზეთში არის IV საუკუნის ტაძრები, რომლებიც ამ აფხაზე-ბის აშენებული არ არის. IV საუ-კუნეში აფხაზებს წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა იყო ქრისტიანობა. აქ მცხოვრებ ხალხსაც აფხაზებს უწოდებდნენ, მაგრამ სხვა აფხა-ზები იყვნენ. მოკლედ, ორი განსხ-ვავებული ხალხი ერთსა და იმავე სახელს იყენებს," - განაცხადა მან.

სწორედ „ადიღეელებად" მოხ-სენიება გახდა აფხაზების აღშფო-თებისა მიზეზი. სოციალურ ქსე-ლებში დაიწერა, რომ საჩივარი უნდა გაიგზავნოს მოსკოვის პატ-რიარქთან და თუკი პატრიარქი კი-რილი არ დაგმობს დეკანოზს, რუ-სი მღვდლებიც უნდა გაყარონ. ასე-ვე „აღშფოთებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროც", დეკანოზი „ხელოვნურად ამკვიდ-რებს აფხაზი ხალხის აგრესორის იმიჯსო".

„სამინისტრო" ასევე დამამცი-რებელს უწოდებს აფხაზი ხალხის ეთნოგენეზზე იაკიმჩუკის შეფასე-ბებს და მიაჩნიათ, რომ დეკანოზი იგორ იაკიმჩუკი ავრცელებს დამა-ხინჯებულ ნარატივებს, რაც იმეო-რებს საქართველოს ეკლესიისა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის რიტორიკას. ვრცელი გამოხმაუ-რება ჰქონდა აფხაზეთის არაღია-რებული ეკლესიის საბჭოსაც.

აფხაზეთის დე ფაქტო კანონ-ში „მოქალაქეობის შესახებ" წე-რია, რომ აფხაზეთის მოქალაქე შეიძლება იყოს ყველა აფხაზი და ფრჩხილებში წერია „აბაზა". დღე-ვანდელი აფხაზები არიან აბაზები, XVI-XVII საუკუნეებში ჩრდილო-ეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ჩერქეზულ-ადიღეური ტომი. ვინც იქ აღშფოთებულია, ყველამ იცის, მისი შორეული წინაპარი საიდან არის.

წლების წინათ, რუსმა მღვდელ-მა და პროფესორმა ანდრეი კურა-ევმა, რომელიც დღეს განდევნი-ლია რუსული ეკლესიიდან, იგივე განაცხადა, დღევანდელი აფხაზე-ბი აფსუები არიანო. თუმცა კურა-ევი რიგითი მღვდელი იყო, ახლა კი იგივე მოვისმინეთ რუსეთის ეკ-ლესიის ოფიციალური პირისგან – რუსეთის ეკლესიაში იციან რეა-ლური ვითარება და ასე საჯაროდ რომ ითქვა, ამან შემაგულიანა.

უამრავი წყაროა, რომლებიც ზუსტად აღწერენ საუკუნეების წი-ნანდელ სურათს, მაგრამ აფხაზები განსაკუთრებით მძაფრად რეაგი-რებენ, როცა მსგავს განცხადებებს რუსები აკეთებენ.

ამ მხრივ რაც მაინტერესებს, ის არის, რომ რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელი ასე დეტალუ-რად შემთხვევით არ იტყოდა, რად-გან ეს უბრალოდ განცხადება არ არის. საინტერესოა, რას უკავშირ-დება, რატომ „გაახსენდათ" მაინ-ცდამაინც ახლა, რუსეთის საპატ-რიარქოს მიერ აფხაზური თემის, ერთი შეხედვით, „პროქართული" კუთხით გაშუქება, შესაძლოა, ეს გათვლილი ყოფილიყო საქართ-ველოს ახალი კათოლიკოს-პატ-რიარქის არჩევამდე ანტირუსული განწყობების შესამცირებლად? ან, უბრალოდ, კიდევ ერთი ნაბიჯია საქართველოსკენ გადმოდგმული?

ფაქტია, რომ რუსეთის საპატ-რიარქო საქართველოს საპატ-რიარქოს საზღვრებში აღიარებს აფხაზეთსაც და სამაჩაბლოსაც...

პოლიტიკა ისეთი რამ არის, რასაც არც ცანცარი უყვარს და არც უადგილოდ გაჯიქება...

ჩემმა მეგობარმა თქვა და ორი ხელით დავეთანხმე: ერთ რამეზე დავფიქრდეთ! რუსეთს რომ მოენ-დომებინა, დღეს აფხაზეთი ასეთი იქნებოდა? – ჩაიდებოდა დიდი კერ-ძო ინვესტუციები და გადაიქცეოდა უდიდეს ტურისტულ-დასასვენე-ბელ ადგილად! ისედაც წალკოტია და სამოთხე იქნებოდა შავ ზღვაზე მთით, ბარითა თუ ზღვის სანაპი-როთი. ფაქტია, რომ არაფერი გა-უკეთებია! ისიც ფაქტია, რომ „ზე-მოდან" ნებართვის გარეშე ვერც კერძო სექტორმა გაბედა! ხომ არ უნდა დავფიქრდეთ, რატომ?

ჩვენი ახალი პატრიარქი მო-ლოცვაში მოხსენიებულია ისევ ცხუმ-აფხაზეთისა და ბიჭვინთის მიტოროლიტად! პოლიტიკაში ეშ-მაკიც და ანგელოზიც დეტალებ-შიაო.

როგორ არ დავთანხმებოდი?

ვიფიქრე, ვიფიქრე და უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე – საქართვე-ლოს ერთიანი სხეულის ნაწილები, „კერძი" აფხაზეთი და „ჩარიზად" სამაჩაბლო, რუსეთს რომ მხოლოდ სავაჭროდ უნდოდა, ცხადი იყო და ცხადია, მაგრამ მოხდა რუსეთის-თვის გაუთვალისწინებელი რამ – არავინ ევაჭრება!

ცოტას მეც წავინართაულებ – მიყვარს თქმა, ძროხას ისევე სჭირ-დება ბალახი, როგორც ბალახს ძროხა-მეთქი, მაგრამ ვერ იგებენ, რას ვამბობ, – ეს მათი პრობლემაა, ბუნებაში კი გარდაუვალი აუცი-ლებლობაა ბალახისა და ძროხის თანაცხოვრება. კი, ძროხა ჭამს ბალახს და ზოგჯერ ბალახიც სა-სიკვდილოდ ვნებს ძროხას, მაგრამ ერთმანეთი სჭირდებათ.

სააკაშვილის ხელისუფლების დროს სხვაგვარად იყო საქმე. რამ-დენადაც ის ცეტი და უპროგნოზო იყო, ასევე აღიქმებოდა მისი ხე-ლისუფლებაც. ამდენად, რუსეთს ასეთ ხელისუფლებასთან ურთი-ერთობა სრულებით არ აინტერე-სებდა, მხოლოდ ყურადღებით იყო, რომ რამე არ გამოჰპარვოდა. სა-ქართველოს გამო რომ რუსეთი და კრებსითი დასავლეთი ერთმანეთს არ შეასკდებოდნენ, 2008 წლის აგ-ვისტოში დავრწმუნდით, დანარჩე-ნი კი მხოლოდ დროის ამბავი იყო.

მოხდა რუსეთისთვის გაუთ-ვალისწინებელი რამ – დრომ კი განაგრძო მდინარება, მაგრამ არა მის სასარგებლოდ. საქართველო-ში ხელისუფლება შეიცვალა და მას ხელში შერჩა მხოლოდ მის „ჯიბეზე" ჩამოკიდებული აფხა-ზეთი, სამაჩაბლო და ოკუპანტის სახელი. პუტინის ხელისუფლება პრესტიჟის გამო ვერც უკან იხევს და ვეღარც წინ მიდის. რა თქმა უნ-და, როგორც ტრამპის მაგალითზე ვხედავთ, შეუძლებელი არაფერია, პოლიტიკაში დღეს ერთს იტყვი და გააკეთებ, ხვალ მეორეს და უკანვე წაიღებ ნათქვამს თუ ჩანადენს, მაგ-რამ ყველა ტრამპი ხომ არ არის. ჰოდა, ვფიქრობ, პუტინი და მისი ხელისუფლება ისეთ ტექნიკურ გამოსავალს ქსოვს და ქარგავს, ობობას შეშურდება – ის თუ ვერ მოასწრებს, მისი მემკვიდრე ისეთს გააკეთებს, მსოფლიოს თვალში პუტინის პრესტიჟი არ დაეცემა.

მეუბნებიან, ფანტაზიორი ხარ, პუტინმა რომ უკან დაიხიოს, ამით მსოფლიო პრეცედენტი შეიქმნე-ბაო, ან სად გინახავს, ომით წარ-თმეული მოლაპარაკებით, მშვი-დობიანად დაებრუნებინოს ვინმეს, – ომით წართმეული ომით ბრუნ-დებაო.

ფანტაზიორი კი არა, ისტორია მაინტერესებდა, ვსწავლობდი და, ამ ფრაზის ამკვიატებლებს ახლავე დავაკვალიანებ!

ეს ისტორიაა, ანტიკური ხანი-დან 21-ე საუკუნის ჩათვლით, რო-მელიც ჩემი შეთხზული ვერ იქნება:

1. ძველი რომი და პართია: რან-დეას ხელშეკრულება (ახ. წ. 63 წ.)

58-63 წლების რომაულ-პარ-თიული ომი სომხეთზე კონტრო-ლისთვის მიმდინარეობდა. ომი რომისთვის კატასტროფულად განვითარდა – პართიელებმა გაა-ნადგურეს რომაული ლეგიონები. იმპერატორმა ნერონმა მოლაპა-რაკება არჩია: რანდეას ხელშეკ-რულებით, რომმა ოკუპირებული სომხური ციხესიმაგრეები დატო-ვა, თუმცა შეინარჩუნა სომხეთის მეფის კანდიდატურის წარდგენის უფლება.

2. შუა საუკუნეების საფრანგე-თი: რეისვეიკის ზავი (1697 წ.)

ცხრაწლიანი ომის (1688-1697 წწ.) შემდეგ საფრანგეთის მეფე ლუი XIV დათანხმდა რეისვეიკის ზავს. ხელშეკრულების მიხედვით, საფრანგეთმა 1678 წლის შემდეგ დაპყრობილი ტერიტორიები უკან დააბრუნა, მათ შორის, ფრაიბურ-გი, ბრაიზახი და ფილიპსბურგი, თუმცა სტრასბურგი შეინარჩუნა.

3. ბრიტანეთის იმპერია: პარი-ზის ზავი (1783 წ.)

ამერიკის რევოლუციური ომის დასასრულს ბრიტანეთმა აღიარა აშშ-ის დამოუკიდებლობა. პარი-ზის ზავმა 13 კოლონია სრულად გაათავისუფლა.

4. საფრანგეთი: ალჟირის დე-კოლონიზაცია – ევიანის შეთანხ-მება (1962 წ.)

5. საბჭოთა კავშირი: ბორნ-ჰოლმის კუნძული (1946 წ.)

1946 წელს, საიდუმლო მოლა-პარაკებების შედეგად, სტალინი დათანხმდა ჯარების გაყვანას იმ პირობით, რომ დანია კუნძულზე უცხოურ სამხედრო ძალებს არ გა-ნათავსებდა.

6. ბრიტანეთი: ჩაგოსის კუნძუ-ლები (2024 წ.)

2024 წლის ოქტომბერში ბრი-ტანეთმა ისტორიულ შეთანხმებას მიაღწია მავრიკთან.

ეს მაგალითები აჩვენებს, რომ მოლაპარაკებით ტერიტორიის დაბრუნება რამდენიმე ფაქტორის არსებობას მოითხოვს. ამ ჩამოთ-ვლილთაგან ერთი რომელიმე ან რამდენიმე ერთდროულად მაინც უნდა იყოს:

სამხედრო/პოლიტიკური ჩიხი – ომის გაგრძელება ორივე მხა-რისთვის წამგებიანია;

საერთაშორისო ზეწოლა – მე-სამე მხარეების ჩართულობა;

სტრატეგიული ინტერესი – ურთიერთობის ნორმალიზება, ეკონომიკური სარგებელი;

შიდა პოლიტიკური ცვლილე-ბები – იმპერიის საგარეო კურსის რადიკალური ცვლილება.

შენიშვნა: 1967 წლის შემდეგ ისრაელ-არაბული კონფლიქტიც „მიწა მშვიდობის სანაცვლოდ", ისევე, როგორც 1979 წლის ისრა-ელ-ეგვიპტის სამშვიდობო ხელ-

16 გვ.

„ავს თუ ავი არ ვუწოდე, კარგს სახელად რა დავარქვო?“

ბარემ ენა ამომაძრეთ და ხელები მომასხიპეთ!

ე. წ. კინწურაშვილების ფაქტჩეკერების კანტორა, მათთვის მიუღებელი აზრების ცენზორი პოლიცია, შლის ყველაფერს, რაც მათ ცრუ პროპაგანდას ხელს უშლის და სჯის ყველას, ვინც სიმართლის გავრცელებას ცდილობს. ეს ახალი ამბავი არ არის, დიდი ხნის პრობლემაა, მაგრამ რას იზამ, როდესაც „ფეისბუკის“ მფლობელ კომპანია „მეტა“-სგან აკრედიტაცია აქვთ და მათ მიერ მიწოდებული ინფორმაცია რაგინდ სიცრუე იყოს, არ მოწმდება. საქართველო ვის დაჰკარგვია, როდესაც იგივე პრობლემა აშშ-შიც არის, მოქმედი პრეზიდენტი იყო დონალდ ტრამპი და ფბ-იდან მაინც წაშალეს, ევროპაში კი ფეისბუკპოსტების გამო ხალხს სულაც იჭერენ.

აბა, ვნახოთ, როგორ ებრძვის „მეტა“ ყალბი ინფორმაციის გავრცელებას და რამდენად სანდოა თავად ის პროცესი, რომელმაც სოციალური ქსელის მაქსიმალური სანდოობა უნდა განაპირობოს.

როდესაც „ფეისბუკში“ერთგვარი „ბანერების ომი“გაიმართა, ხელისუფლების მოწინააღმდეგე ჯგუფებმა, — რას წარმოადგენს და რამდენად გვჭირდება კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ, — სოციალურ ქსელში შესაბამისი შინაარსის ბანერების გაზიარება დაიწყეს.

საპასუხოდ, ხელისუფლებამ და მისმა მხარდამჭერებმა ასევე დაიწყეს ბანერების გაზიარება, სადაც განმარტებული იყო მმართველი გუნდის პოზიცია და არგუმენტები იმის შესახებ, თუ რატომ არ არის აღნიშნული კანონპროექტი რუსული.

თითქოს ორივე მხარეს ეძლეოდა საშუალება, ფართო აუდიტორიამდე მიეტანა საკუთარი სათქმელი, ხოლო აუდიტორიას ჰქონდა საშუალება, შეედარებინა ბანერების შინაარსი და თავად გაეკეთებინა არჩევანი, რომელ მხარეს დაიკავებდა ამ დისკუსიაში.

ეს არჩევანი მალევე გაქრა, რადგან „ფეისბუკმა“ კანონპროექტის მხარდამჭერ ბანერებს „ცრუ ინფორმაციის“ აღმნიშვნელი ფილტრი დაადო და შესაბამისად, მათი შინაარსი მომხმარებლისთვის მიუწვდომელი გახდა.

აღსანიშნავია, რომ „ფეისბუკზე“ განთავსებული მინაწერის თანახმად, პოსტმა „ფაქტების შემოწმებელი დამოუკიდებელი ექსპერტების შემოწმება“ (ვერ) გაიარა და სწორედ მათ გადაწყვიტეს, რომ ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენელთა მტკიცებით, ეს „დამოუკიდებელი ექსპერტები“ სხვა არაფერია, თუ არა ოპოზიციასთან (ანუ ყოფილ ხელისუფლებასთან) მჭიდროდ დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამჟამად ქართული „ფეისბუკის“ პოლიტიკური ცენზურით არიან დაკავებული.

როგორ, რა მექანიზმების გამოყენებით ამოწმებს „მეტა“ ინფორმაციის სანდოობას, ვის ეყრდნობა იგი ამ პროცესში, რამდენად გამართლებულია ეს პრაქტიკა და შეიძლება თუ არა, ხვალ ნებისმიერი ჩვენგანი აღმოჩნდეს სიტუაციაში, როცა ჩვენსა და ჩვენს აუდიტორიას შორის მესამე მხარე - ე. წ. ფაქტების შემმოწმებელი დამოუკიდებელი ექსპერტი ჩადგება და სწორედ ის განსაზღვრავს, გვაქვს თუ არა უფლება, გავავრცელოთ ესა თუ ის ინფორმაცია.

„მეტას“ ოფიციალური გვერდის თანახმად, კომპანია დაუყოვნებლივ შლის აგრესიული შინაარსის პოსტებს, რამაც შეიძლება, ძალადობის წახალისება გამოიწვიოს. ხოლო იმ შემთხვევების შეფასება, სადაც ძალადობრივ მოწოდებას ადგილი არ აქვს, მაგრამ არსებობს ეჭვი ინფორმაციის სანდოობასთან დაკავშირებით, „მეტას“ პარტნიორი ორგანიზაციებისთვის აქვს მინდობილი, რომლებსაც „ფაქტების შემმოწმებელ დამოუკიდებელ ექსპერტებს“ უწოდებს.

ფურცელზე რა წერია, რა მნიშვნელობა აქვს, როცა ვხედავთ, რომ თუ ყოფილი ხელისუფლების საწინააღმდეგო (ასევე ლგბტ ან სხვა) მოსაზრებაა დაწერილი, მყისიერად შლიან და გსჯიან, ხოლო თუ მოქმედ ხელისუფლებას უშვერი სიტყვებით გალანძღავ, რეაგირება არ არის.

საქართველოში „ფეისბუკს“ ორი ასეთი პარტნიორი ყავს: **Fact Check Georgia** (იგივე „ფაქტ-მეტრი“) და **Myth Detector** („მითების დეტექტორი“), რომლებიც საქართველოს გარდა, ასევე ამოწმებენ სომხეთიდან, უკრაინიდან, ბელარუსიდან და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან გამოქვეყნებულ მასალებს.

იგივე პრაქტიკას იყენებს „მეტა“ უშუალოდ ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირის ქვეყნებთან მიმართებაშიც. მაგალითისთვის, აშშ-ში „ფეისბუკის“ კონტენტს ათამდე „მესამე მხარე“ აკონტროლებს (მათ შორის **USA Today, Televisia Univision, Reuters Fact Check** და ა .შ.).

რაც შეეხება თვითონ მექანიზმს, „მეტას“ ოფიციალური ვებგვერდის თანახმად, მაკონტროლებლებს შეუძლიათ, თავიანთი წყაროებიდან შემოსული სიგნალების საფუძველზე გადაწყვიტონ კონკრეტული კონტენტის შემოწმება. თუმცა, „მეტას“ თავადაც შეუძლია მიუთითოს მათ საეჭვო მასალაზე, რომლის სანდოობის ხარისხიც კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება დადგეს აუდიტორიის რეაქციის (ე. წ. რეპორტინგის), გავრცელების სპეციფიკის და სხვა მარკერების მიხედვით.

„ფეისბუკის“ „სამშობლოში“ დღემდე არ არსებობს საზოგადოებრივი კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, რამდენად მართებულია ამგვარი პრაქტიკა და პასუხისმგებლობის „გადაბარება“ იმ ორგანიზაციებზე, რომლებსაც, შესაძლოა, საკუთარი სუბიექტური პოზიცია ან დაინტერესება გააჩნდეთ მიმდინარე მოვლენების მიმართ, და, აქედან გამომდინარე, სულაც არ იყვნენ მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი.

როგორც ამერიკაში, ისე ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოში „მეტა“ არაერთხელ ამხილეს აშშ-ის დემოკრატიული პარტიის და ბაიდენის ადმინისტრაციის სასარგებლოდ წარმოებულ პოლიტიკურ ცენზურაში. ამ მხრივ ერთ-ერთი რეზონანსული ამბავი იყო ე. წ. „ჰანტერ ბაიდენის ლეპტოპის სკანდალის“ „დამალვა“ 2016 წლის არჩევნების წინ, რაზეც მარკ ცუკერბერგმა პასუხისმგებლობა ასევე „მესამე მხარეს“ - ამ შემთხვევაში, **FBI**-ს „გადაუნაწილა“.

უსამართლო მოდერირებასთან დაკავშირებული ბრალდებები ასევე, არაერთხელ გაჟღერდა **COVID** პანდემიის და მისი მართვის შესახებ გამოთქმული ალტერნატიული მოსაზრებების ჩახშობის გამოც. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევაზე, 2023 წლის ზაფხულში, ლექს ფრიდმანის პოდკასტში თავად მარკ ცუკერბერგმაც ისაუბრა. მან თქვა, რომ „სამეცნიერო დაწესებულებები“ ხშირად „სთხოვდნენ“, შეეზღუდა ისეთი ცნობების გავრცელება, რომლებიც მომავალში დადასტურდა.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს „პასუხისმგებლობის გადაბარების“ მცდელობასთან, რის შედეგადაც, მომხმარებელი ვერ არკვევს, ვის უნდა მოსთხოვოს პასუხი მასალის „დამალვაზე“. თუმცა ვისგანაც უნდა მოდიოდეს „რეკომენდაცია“, ბუნებრივია, მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება მას, ვინც იღებს გადაწყვეტილებას, ან გადაწყვეტილების მიღების უფლებას რომელიმე „მესამე მხარეს“ ანდობს, ანუ ისევ და ისევ „მეტას“ ადმინისტრაციას.

ახალი შემთხვევებიდან შეგვიძლია ასევე, გავიხსენოთ **Human Rights Watch**-ის 2023 წლის სკანდალური კვლევა, რომელმაც დაადგინა, რომ ისრაელ-„ჰამასის“ ომის დაწყების შემდეგ „მეტა“ სისტემატურად „ახშობდა პროპალესტინურ ხმას“ და მათ შორის, შლიდა ომის მსხვერპლთა ფოტოებს ძალადობის ამსახველი გამოსახულების შეზღუდვის არგუმენტით; მაშინ, როცა თავად „მეტას“ რეგულაციებით, ამგვარი მასალა ახალი ამბების (ანუ „ნიუსის“) კატეგორიაში უნდა მოხვედრილიყო და შესაბამისი სტანდარტით შეფასებულიყო.

სოციალური ქსელის გამოყენებისას ჩვენ ვიღებთ კომუნიკაციის უზარმაზარ შესაძლებლობას, ხოლო თავად ეს ქსელი (ანუ მისი ხელმძღვანელობა) იღებს ასევე, უზარმაზარ ძალაუფლებას, რომელიც შესაძლოა, ყოველთვის კეთილსინდისიერად არ იყოს გამოყენებული.

ასეთ შემთხვევაში, ობიექტური კრიტიკა უკუკავშირის ყველაზე ეფექტიანი მექანიზმია იმისთვის, რომ მოდერაცია სიტყვის თავისუფლების შეზღუდვამდე არ მივიდეს, ხოლო მოდერატორები - ციფრული ეპოქის პოლიტიკურ ცენზორებად არ იქცნენ.

ვინაიდან ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ **Meta**-ს შეუძლია იყოს ჭეშმარიტების არბიტრი, საქართველოში ვთანამშრომლობთ **FactCheck Georgia**-სა და მითების დეტექტორთან, — ნათქვამია **Meta**-ს ოფიციალურ განცხადებაში.

„ფაქტების დამოუკიდებელ შემმოწმებლად“ დასახელებული **Meta**-ს პარტნიორი **Fact Check Georgia** „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ - **GRASS**-ის პროექტია. **GRASS** ის დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე კი **სერგი კაპანაძეა**. დამფუძნებლებს შორის არიან **ელენე ხოშტარია, შოთა უტიაშვილი, თინა ბურჯალიანი, ნოდარ ხარშილაძე**.

„მითების დეტექტორი“, რომლის ინფორმაციასაც ასევე ეყრდნობა **Meta**, მედიის განვითარების ფონდის“ პორტალია, ფონდის აღმასრულებელი დირექტორი კი **თამარ კინწურაშვილია** — ყველაფერი ნათელია!

საგულისხმოა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი მსხვილი კორპორაცია „ბლეკროკი“ „მეტა“-ს აქციების მფლობელია (7,1%), ის კი გლობალური ომის პარტიის ინტერესებს ემსახურება და მისი განუყოფელი ნაწილია.

ეს ყველაფერი გაცხადებულია, ვიცით და პირადად მე, მუდმივად დასჯილი ვარ, ოცი კაცის გარდა, ვერავინ მხედავს, ხან კი სამი დღე, ერთი კვირა, ერთი ან სამი თვით დასჯილი ვარ. ფეისბუკმომხმარებლები ვიხვეწებოდით, მოგვაშორეთ ეს ოხერი „კინწურას“ კანტორა და მისი ფაქტჩეკერებიო და, შესმენის ნაცვლად, ახლა კიდევ ერთი მაკონტროლებელი უნდა ჩამომიჯდეს და აზრები გამიზომოს — ახლა ხელისუფლებაც დარაჯად მიჯდება. ჩემს ალალ ნააზრევს ვინ როგორ ჩათვლის, იმაზე უნდა ვიფიქრო?!

„ავს თუ ავი არ ვუწოდე, კარგს სახელად რა დავარქო?“

უწმიდესს რომ უთხრეს, უნეტარესო, გისმენენო, მიუგო: ნეტავ, ვინმემ მომისმინოსო...

ჰო, ჭეშმარიტების მოსმენა უნდა ინატრო და არა ჭეშმარიტების დადუმებაზე გაიწაფო...

ბარემ ენა ამომაძრეთ და ხელები მომასხიპეთ!..

პატივისცემით,
მკითხველი

ხალხს აქვს უფლება - იცოდეს...

(გაგრძელება. დასაწყისი „სგ“ N15)

არაერთხელ გახდა მსჯელობის საგანი მაცხოვრის ჯვარცმის ფრესკა სვეტიცხოველში, რადგან ითქვა, რომ მასზე ე. წ. „მფრინავი თეფშებიც“ არის გამოსახული. უპირველესად ვთქვათ ის, რომ სასულიერო პირები მკვეთრად უარყოფითად და ემოციურად უარყოფენ ამ მოსაზრებას. ისინი ამბობენ, რომ ის, რასაც „ვიღაცები“ მფრინავ თეფშებს უწოდებენ, მხოლოდ და მხოლოდ მნათობები, მზე და მთვარეა, მათი ამგვარად გამოსახვის ფორმა კი ხატწერის ერთ-ერთი სახეა. ამ ფორმით გადმოცემის ხერხი კი მდგომარეობდა იმაში, რომ როდესაც მაცხოვარი ჯვარზე გააკრეს, სავსემთვარეობა იყო და მზის დაბნელება მოხდა. ეს ასტრონომიულად შეუძლებელია, მაგრამ ამით მაცხოვრის მიერ კიდევ ერთი სასწაული აღსრულდა, მზეც დაბნელდა და, იმავდროულად, მთვარეც იყო ცაზე.

როგორც ვხედავთ, სასულიერო წიგნებში არაერთგან შევხვდებით ადგილებს, სადაც მფრინავი ობიექტები არათუ გაკვრით არის ნახსენები, არამედ დაწვრილებით არის აღწერილი. ამდენად, გაუგებარია, რატომ უარყოფს ასე კატეგორიულად სამღვდელოება დედამიწაზე არამიწიერი ცივილიზაციის გამოვლინების ფაქტებს.

რაც შეეხება სვეტიცხოვლის ფრესკას – ხატწერა ბიზანტიურია. ამდენად, ანგელოზები გამოსახული უნდა ყოფილიყვნენ ფრთებითა და შარავანდედით, ხოლო თუ ისინი მზე და მთვარეა, მათში მსხდომებს არ უნდა ჰქონდეთ ადამიანის სხეულები, რადგან ეს ქრისტიანობისთვის მკრეხელობაა...

ისეთივე წვეტიან „ფორმაში“ არის გამოსახული იმავე შინაარსის ხატზე ნოვგოროდში ამჯერად უკვე სახეები. ეს ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს მნათობებად და იმ ასტრონომიული მოვლენის შინაარსის გადმომცემად, რასაც მართლმადიდებელი სასულიერო პირები ამბობენ და ევანგელისტურ მოძღვრებაშიც არის ნახსენები...

უცნობი მხატვრის მიერ შესრულებული თითქმის ანალოგიური ხატი (არა – ფრესკა) 1964 წელს სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა ფერმწერმა სტუდენტმა კოსოვოში, ჯვარცმის გამოსახულებაზე ვისოკი დეჩანის მონასტერში, 15 მეტრის სიმაღლეზე, როცა მისი ფოტოგრაფირება დაიპირა. ძნელია იმის დაჯერება, რომ ეკლესიებში, ხატსა თუ ფრესკაზე „მზე“ და „მთვარე“ სხედან „რაღაც მფრინავ აპარატში“ და მათგან ერთ-ერთს, სულაც ხელი უდევს სამართავ ბერკეტზე...

მონასტრის მშენებლობა 1327 წელს წაბლის ტყეში დაიწყო სერბეთის მეფე სტეფან ურეშ III-მ (ჩანაწერი ამის შესახებ 1330 წლით დარიღდება). მომდევნო წელს მეფე გარდაიცვალა და მშენებლობა მისმა ვაჟმა ურეშ IV-მ განაგრძო. სამუშაოები 1335 წელს დამთავრდა, მაგრამ ფრესკების წერა 1350 წლამდე გრძელდებოდა.

2004 წლიდან ვისოკი დეჩანის მონასტერი შესულია იუნესკო-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში, 2006 წელს კი ეთნიკური ალბანელების მხრიდან პოტენციური თავდასხმების გამო, მონასტერმა „საფრთხის ქვეშ მყოფ ძეგლთა“ სიაში გადაინაცვლა და ამჟამად დაცულია გაერო-ს კოსოვოს ძალების მიერ. საინტერესოა, რა და რატომ გამოსახეს სერბეთის მართლმადიდებლურ მონასტერში XIV საუკუნეში, რატომ უნდა ყოფილიყო მონასტრის კედლებში დაცული თანამედროვეობისთვის, ფაქტობრივად, ურწმუნო თუ სადავო თემის ამსახველი გამოსახულებები?

ასევე, საინტერესოა რემბრანდტის მოსწავლის დე გელდერის „ქრისტეს ნათლობა“ (კემბრიჯი. შესრულებული 1710 წელს), სადაც ასევე, გარკვევით ჩანს ამოუცნობი მფრინავი ობიექტი, რომელიც სხივებს აგზავნის იორდანეზე იესოს ნათლობის დროს. მე-17-მე-18 საუკუნეების ელიტურ მხატვარს რა ინფორმაცია უნდა ჰქონოდა, რომ ასე ზედმიწევნით ზუსტად დაეხატა დღევანდელი აღწერილობის ე. წ. „მფრინავი თეფში“?

ბუნებრივია, რომ თუნდაც არამიწიერი ცივილიზაციის შექმნილ მფრინავ ტექნიკას სულიერი არსებები მართავენ, მაგრამ როგორ გამოიყურებიან ის ზეგანვითარებული სულიერები სკაფანდრის გარეშე? – ეზეკიელს თუ ვენდობით, ადამიანის მსგავსი ხელები აქვთ, ოთხი სახიდან კი ერთი სახეც ადამიანის აქვთ...

საინტერესოა, ვინ, რატომ, რა ფანტაზიით გამოსახა პერუში კლდეზე, ჩვ. წ. აღ-მდე XII-IV საუკუნეებში და იტალიაში, ასევე, კლდეზე ჩვ. წ. აღ-მდე XIII-VIII საუკუნეებში სკაფანდრიანი ადამიანები, თუ მსგავსი არ არსებობდა და არც არავის უნახავს?

„მადონა წმინდა ჯოვანინოთი“ („მარიამი წმინდა ჯოვანისთან“) შესრულებულია XV საუკუნეში (ფლორენცია), რომლის უკანა პლანზე გარკვევით ჩანს „ამო“ და ხელმოჩრდილული ადამიანი, რომელიც ამ „მფრინავ უცნაურობას“ უმზერს. აზრთა უმრავლესობით, სურათის ავტორი დომენიკო გირლანდაიოა, მიქალანჯელოს მასწავლებელი, ადრეული რენესანსის („კვატროჩენტო“) ერთ-ერთი უძლიერესი მხატვარი, თუმცა გარკვეული წრეები თვლიან, რომ აღნიშნული სურათის ავტორები შესაძლოა, იყვნენ: ფილიპო ლირი, მაინარდი და სელასიო.

ამ შემთხვევაში, ალბათ, მნიშვნელობა არ აქვს, კონკრეტულად რომელი მხატვარის ფუნჯს ეკუთვნის ნახატი. ვინმე ალან მაკ-გრეგორმა დაწერა წიგნი „ამო“ ძველ აღთქმაში“, სადაც დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ უკანა პლანზე, ცაში გამოსახული ობიექტი უცხოპლანეტელების ხომალდია;

ასევე, საინტერესოა არაკანონიკური ტრადიციით გადმოცემული „აღდგომა“ – რატომ არის მაცხოვარი გამოსახული ისე, თითქოს რაკეტიდან არის გამოსული („აღდგომის“ რამდენიმე სხვა ვერსიაშიც იმავე ოვალშია, თუმცა „რაკეტის ფრთები“ აღარ ფიქსირდება)?

შუა საუკუნეების ცნობილი თუ უცნობი მხატვრები ხშირად გამოსახავდნენ ამო-ს, ბუნებრივია, იმას, რისი თვითმხილველებიც იყვნენ...

ამო არის გამოსახული 1538 წელს შესრულებულ გობელენზეც – მის შესახებ მომდევნო ნომერში გიამბობთ.

ამო არის გამოსახული 1680 წლის ფრანგულ მონეტაზეც... დამაინტრიგებელია წარწერა, რომელიც თავისუფალი თარგმანით ამგვარ შინაარს შეიცავს „ეს იქ შესაფერის დროს“...

იმავეს გვიხატავს 1383-1440 წელს მაზოლინო დე პანიკალეს „თოვლის სასწაული“;

პაულო უჩელოს 1396-1475 წელს შესრულებულ ნახატზე;

ლონდონის ნაციონალურ გალერეაში გამოფენილ კარლო კრიველის 1486 წელს შესრულებულ ნახატზე;

XIV საუკუნეში უცნობი მხატვრის მიერ შესრულებულ ნახატზე;

1608 წელს შესრულებულ გრავიურაზე...

სხვათა შორის, საქართველოს ხელოვნების ნაციონალურ მუზეუმში ინახება XV საუკუნეში შესრულებული წმინდა გიორგის მომინანქრებული მინიატურა, რომელზეც, მარჯვენა ზედა კუთხეში, აღქმით – ზეცაში, გამოსახულია გაურკვეველი დანიშნულების სოკოს მსგავსი გამოსახულება, რომელსაც ამო-დ მიიჩნევენ, კოსმიურ გამოვლინებად, რომელიც ძალას აძლევს წმინდანს უწმინდურთან ბრძოლაში...

აღნიშნული მაგალითები მხოლოდ მცირედი ნაწილია იმისა, რაც ადამიანს შეუქმნია „ციდან მოსულების“ შესახებ, მაგრამ უფრო მეტს მეტყველებენ სასულიერო წიგნები და კიდევ უფრო მეტს – მითები, რომლებიც ფანტასტიკურ, „ზღა-პარ-ულ“ შინაარს ატარებენ... („ზღაპრის“ შესახებ უკვე ვთქვით).

მაკა ჯაყელი

(დასასრული იქნება)



კატრანების საიღუმლო

მას შემდეგ, რაც ჩემს მეუღლეს დაუძლეველი პრობლემა ჰქონდა და ნებაყოფლობით საკუთარ თავზე გამოაცდევინა წლების წინათ საცდელი პრეპარატი „კატრექსი“, რომელიც შავი ზღვის ზვიგენის ღვიძლზე მზადდებოდა, ზვიგენებით დავინტერესდი — იქნებ, მედიცინამ ერთ დღეს მართლაც შეძლოს კატრანებისგან კიბოს განკურნების საშუალების მიღება...

გრენლანდიური ზვიგენი კატრანისებრთა სახეობის, პოლარული ზვიგენების ოჯახის წარმომადგენელია. მისი სიგრძე 7 მეტრამდეა, ხოლო წონა 1 ტონაა. გრენლანდიური ზვიგენები ასობით წელს ცოცხლობენ. ეს ნამდვილად

იშვიათი ფენომენია და მეცნიერებს ყოველთვის აინტერესებდათ, როგორ ცხოვრობდა ეს არსება ამდენ ხანს.

გრენლანდიური ზვიგენები, ჩვეულებრივ, 250 წელი თავისუფლად ცოცხლობენ, თუმცა, შეუძლიათ 500 წელიც იცოცხლონ. ისინი ხერხემლიანებში ყველაზე დიდხანს მცხოვრები ორგანიზმები არიან. ეს ზვიგენები ოკეანეში 2 647 მეტრის სიღრმეში ცურავენ.

მკვლევრები აქამდე ვარაუდობდნენ, რომ ზვიგენების სიცოცხლის ხანგრძლივობა დაკავშირებული იყო ძალიან ცივ გარემოსთან — ეს არსებები მინუს 1,8 გრადუს ცელსიუსზე თავს კომფორტულად გრძნობენ, თუმცა ახალი კვლევის მიხედვით, ზვიგენების სიცოცხლის ხანგრძლივობა შეიძლება დაკავშირებული იყოს მათ მეტაბოლურ აქტივობასთან, რომელიც დროთა განმავლობაში არ იცვლება, როგორც ეს სხვა ცხოველების შემთხვევაში ხდება. „ეს ძალიან საინტერესოა, ზვიგენებს არ აღენიშნებათ დაბერების კლასიკური ნიშნები“, — განაცხადა კვლევის წამყვანმა ავტორმა ევან კამპლისონმა.

მეტაბოლიზმი ქიმიური პროცესია, რომლის დროსაც ფერმენტები საკვებ ნივთიერებებს ენერგიად გარდაქმნის. ცხოველების უმეტესობაში მეტაბოლიზმის სიჩქარე დროთა განმავლობაში მცირდება. ეს იწვევს ენერგიის გამომუშავების შემცირებას, რთულდება უჯრედების აღდგენა, რაც საბოლოოდ ორგანიზმს აზიანებს.

ახალ კვლევაში ზვიგენების მეტაბოლიზმის გასაზომად, მკვლევრებმა ქსოვილის ნიმუშები 23 გრენლანდიური ზვიგენის კუნთიდან აიღეს. მათ აღმოაჩინეს, რომ ზვიგენებში, ასაკის მიუხედავად, მეტაბოლიზმი განსხვავებულად არ მუშაობდა.

ყველა სხვა ცხოველში ასაკთან ერთად მეტაბოლიზმიც იცვლება, თუმცა ამ ზვიგენების შემთხვევაში ეს ასე არ აღმოაჩნდა. მკვლევრებმა მსოფლიოს მასშტაბით 28 ყველაზე ასაკიან ცხოველს მიაკვლიეს, მათ შორის ყველაზე დიდი 400 წლის მდედრი ზვიგენი აღმოჩნდა.

კვლევის ავტორის, საზღვაო ბიოლოგ იულიუს ნელსენის თქმით, აღმოჩენა მისთვის გამაოგნებელი იყო, რადგან, დღემდე ყველაზე "ასაკოვანი" ვეშაპი 211 წლის იყო, ყველაზე ასაკიან ზღვის ცხოველად კი 507 წლის მოლუსკი, სახელად მინგი მიიჩნეოდა.

ხშირ შემთხვევაში, კიბოს განვითარება ასაკთან არის დაკავშირებული. სწორედ ასაკის მატებასთან ერთად იზრდება სიმსივნური უჯრედების განვითარების შანსი. 2025 წლის კვლევამ აჩვენა, თუ როგორ შეუძლიათ გრენლანდიურ ზვიგენებს, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე იდუმალ არსებებს, საუკუნეების განმავლობაში მათ ორგანიზმში კიბოს განვითარების გარეშე სიცოცხლე.

ამ სახეობის რთული გენომის გაშიფვრით მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ წყლის ამ მტაცებელს დნმ-ის აღდგენის მექანიზმები ძალიან კარგად აქვს განვითარებული. სწორედ ამის შედეგად, გრენლანდიურ ზვიგენს სიმსივნური წარმონაქმნების წინააღმდეგ ძლიერი იმუნური დაცვითი სისტემა და ხანგრძლივი სიცოცხლის შესაძლებლობა უყალიბდება.

დაადგინეს, რომ ხანმოკლე სიცოცხლის ხანგრძლივობის მქონე ზვიგენებისგან განსხვავებით, გრენლანდიური ზვიგენის გენომი შეიცავს უჩვეულო რაოდენობის გენებს, რომლებიც დაკავშირებულია NF-kB უჯრედშიდა რეაქციასთან. ამით რეგულირდება ანთება და იმუნიტეტი. სწორედ ეს უზრუნველყოფს გრენლანდიური ზვიგენების უჯრედულ დაცვას და მათ სიმსივნისგან აზღვევს.

როგორც ჩანს, ამ ზვიგენებს დნმ-ის აღდგენის ფერმენტები აქვთ მრავლად, რის შედეგადაც, ეფექტიანად ხდება უჯრედული დაზიანებების გასწორება. ეს თანხმობაშია პეტოს პარადოქსთან, რომლის მიხედვითაც, დიდი ცხოველები პატარა ცხოველებთან შედარებით, კიბოს განვითარების უფრო დიდ რისკებს არ ატარებენ. მეცნიერების თქმით, ზვიგენების კვლევამ შეიძლება საფუძველი ჩაუყაროს კიბოს მკურნალობის ახალი მეთოდების განვითარებასა და შემუშავებას.

კიბოსთან ბრძოლის მიღმა, კვლევა ხსნის საინტერესო პერსპექტივებს მოლეკულური მექანიზმების გასაგებად. შესაძლოა, ეს მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ისეთი მეთოდების შემუშავებისთვის, რომლებიც ადამიანების სიცოცხლის გახანგრძლივებას შეუწყობს ხელს. შესაძლოა, ეს დადებითად აისახოს სიცოცხლის ხანგრძლივობის მოლეკულურ საფუძვლებზე და გაჩნდეს გენეტიკური მექანიზმები, რომლებიც ასაკთან დაკავშირებული დაავადებების დათრგუნვაში დაგვეხმარება. მეტიც, გრენლანდიური ზვიგენების ძლიერი იმუნური სისტემის შესწავლა, შესაძლოა, ადამიანების იმუნური სისტემის დაცვაშიც დაგვეხმაროს.

მაკა ჯაყელი





რატომ ვითრავთ ფეხს

13 გვ.

შეკრულება, რომლითაც ისრაელმა სინაის ნახევარკუნძული ეგვიპტეს დაუბრუნა, სწორედ ამ პრინციპის თანამედროვე გამოხატულებაა.

აბა, შევხედოთ, ჩამოთვლილთაგან რუსეთ-საქართველოს გაშეშებულ მდგომარეობას არაფერი ესადაგება? – მთავარია, ნება იყოს!

ამიტომ ვამბობ, რომ საქართველოს ხელისუფლებაც ისეთ გონივრულ პოლიტიკას აწარმოებს, რომ პარადოქსულიც კი არის, – ბეწვის ხიდზე ისე გადის, რომ წონას იმატებს, ხოლო ბეწვი, გაწყდომის ნაცვლად, მსხვილდება.

საქართველომ ისე ლამაზად შეასრულა თავისი „პარტია“, რომ მასთან „წყვილში ცეკვა“ სასურველი გახდა და უფროდაუფრო იმატებს პარტნიორობის მსურველთა რიცხვი. საქართველოს კრებსითმა თავმა, როგორც ჭადრაკის დიდოსტატმა, რამდენიმე სვლით ადრე კარგად გათვალა, რომ დამპალი ვაშლი ტოტზე დიდხანს ვერ შერჩებოდა.

ქაოსი ყოველთვის შობს წესრიგს და აი, ბოლო კუდების მოქნევაა, რადგან დაიწყო ახალი მსოფლიო წესრიგისთვის გადაწყობა, სადაც მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნებს შორის გრძელვადიანი კეთილმეგობრული ურთიერთობები და არა მოკლევადიანი ძალადობები. მავანთა გასაოცრად, ისეთი ლავირებებით შეძლო საქართველომ აღმასვლა, როგორც მთის ქართულ კი არა, ქართველ წიწნკლებიან კალმახს შეეფერება – საქართველო ხდება ამ ეტაპზე თითქმის უალტერნატივო დერეფანი, კვანძი, ინფრასტრუქტურა, რომლის გარეშე არ მუშაობს „აღმოსავლეთ-დასავლეთის“, და პერსპექტივაში, არც „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ მარშრუტები.

ვეხვეწებოდით კრებსით დასავლეთს, მიგვიღეთ თანასწორადო და აბუჩად გვიგდებდნენ. ჰოდა, რაღა დაგვრჩენოდა, შემოვიბრუნეთ ქუდი აღმოსავლეთისკენ. ამაზეც დაგვცინოდნენ, წასასვლელი არავისთან აქვთ, ევროპაში კარს არ უღებენ და ვიღაცას ხომ უნდა დაელაპარაკონო. ჩემი ხედვით, დღევანდელი აღმოსავლეთის ქვეყნები ეკონომიკურ ასპექტებზე არიან ორიენტირებულები და არა დაპყრობით ომებზე, შესაბამისად, მათი გათვლები ყოველთვის პრაგმატულია.

ჩვენის მხრივ, ვიცით, რომ ძალით ვერავის მოვერევით, ამიტომ რა იარაღიც გვაქვს, იმით უნდა ვიყოთ ძლიერები, ასეთი კი, თვით ღვთისმშობელმა მოგვცა – ორზღვაშუა ტერიტორია ევროპისა და აზიის გზაგასაყართან...

ამიტომ ვფიქრობ, რომ რუსეთის ეკლესიის ოფიციალური პირს, დეკანოზ იგორ იაკიმჩუკს შემთხვევით და ისე, სასხვათაშორისოდ, არაფერი უთქვამს. ახალი და გასაოცარი არაფერი მოვისმინე, მაგრამ რატომღაც „ოვერტონის ფანჯრის“ ერთ-ერთ ეტაპად მივიღე.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობას, – ვფიქრობ, რომ ორივე „ფრონტს“ ერთსა და იმავეს ეუბნება, იმ განსხვავებით, რომ „ცოფიან ბრიუსელს“ ელაპარაკება და ფაქტობრივად, დიპლომატიურად დასცინის, ხოლო რუსეთთან „დუმილის უფლებას იყენებს.“ ვფიქრობ, ეს უკეთესია, ზოგჯერ დუმილი თანხმობის ნიშანია, თუმცა, ზოგჯერ სიჯიუტისაც...

მიკვირს და გამკვირვებია – ასე სათაყვანებელი დასავლური მეგობრობა ლამაზი ბუშტი როგორ აღმოჩნდა, საძულველი რუსული ოკუპაცია კი – ჩიხური სინანული...

ვნახოთ, რა და როგორ მოხდება, ამას არცთუ შორეული მომავალი გვიჩვენებს, ჩვენ არსად გვეჩქარება, რადგან, როგორც ჩვენი ბრძენი წინაპრები იტყოდნენ, – მოჩქარეს მოუგვიანდესო...

მაია ჭელიძე

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორის მოადგილე: გელა ზედელაშვილი 555 48-48-61
შემოქმედებითი ჯგუფი:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, მაკა ჯაყელი, ნინო დაუშვილი, თორნიკე ზედელაშვილი, ლევან ბოჭორიშვილი (დიზაინი), ბელა გველესიანი; ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertogazeti.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
2 009882 682227

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება. ® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.